# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან

www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

№17-18 (9849-9850) 2025 წლის 10 თებერვალი, ორშაბათი

ფასი 1,5 ლარი




## პრემიერის ევრონიუსთან ინტერვიუ ნათლად მეტყველებს, რომ „ქართული ოცნების“ საგარეო პოლიტიკა პრინციპული და სამართლიანია!

ირაკლი კობახიძე: ჩვენ მტკიცედ ვდგავართ ევროინტეგრაციის გზაზე, გამოვიჩენთ მოთმინებას, დაველოდებით ევროკავშირის გადაწყვეტილებებს და თანმიმდევრულად შევასრულებთ ყველა ვალდებულებას, რომელიც ეხება ჩვენი ევროინტეგრაციის დაჩქარებას...

6

## ევროკავშირში – უმსხვერპლოდ!

სოზარ სუბარი:



### ...რეფორმები მაქსიმალურად სწრაფად უნდა დავიწყოთ!

გადაცემა „იმედი LIVE-ს“ პირველი სტუმარია პარლამენტის ვიცე-სპიკერი, ხალხის ძალის თავმჯდომარე სოზარ სუბარი.

– დავიწყოთ USAID-ის მასშტაბური სკანდალით, პირდაპირ დასახელდა საქართველოც, როგორც ერთ-ერთი ქვეყანა, სადაც საეჭვო პროექტები ფინანსდებოდა. ასევე, აშშ-ის სახელმწიფო მდივანი პირდაპირ ამბობს, რომ ამერიკის ეროვნულ ინტერესებს ეწინააღმდეგება ის პროექტები, რასაც აფინანსებდა სააგენტო. თქვენი შეფასებით, საქართველოს შიდაპოლიტიკურ პროცესებში, რისი მანიშნებელია ის, რაც ახლა ვაშინგტონიდან ისმის მსოფლიოს გასაგონად?

– გაგახსენებთ, როგორი შოკი იყო, როდესაც ჯერ კიდევ 3 წლის წინ, „ხალხის ძალამ“ დავიწყეთ იმ მავნებლური პოლიტიკისა და პროექტების მხილება, რომელიც აშშ-იდან საქართველოში სწორედ USAID-ის მიერ დაფინანსებული პროექტებით და მათი ქართველი აგენტების ხელით ხორციელდებოდა. თუმცა, მანამდე, ჯერ კიდევ 2020 წლის არჩევნების შემდეგ, USAID-ის მიერ დაფინასებული პროექტით გააყალბა ხმის პარალელური დათვლა ერთ-ერთმა ქართულმა ენჯეომ, ე.წ. სამართლიანმა არჩევნებმა და ეს ძალიან კარგად იცოდა, როგორც აღნიშნული ორგანიზაციის მაშინდელმა ხელმძღვანელმა საქართველოში, ისე სავარაუდოდ, – საქართველოში ამერიკის მაშინდელმა ელჩმა.

გაგრძელება მე-3 გვ.



### ხალხის მსახური მედია



ირაკლი გოგავა:

## ქართული მედია უცხოური ფულით არ უნდა ფინანსდებოდეს!



ახლა ილონ მასკი შევიდა ფედერალურ სტრუქტურებში, რომელსაც ჰყავს 7 გენიოსი, 19-დან 25-წლამდე ახალგაზრდა, მთელი ამერიკიდან მოგროვებული. ეს ახალგაზრდები, რომლებიც მასთან „ტესლაში“ და „იქსში“ მუშაობდნენ, ახლა ამოწმებენ ამერიკის 6-ტრილიონიანი ბიუჯეტის მთელ ტრანზაქციას...

4



85

### ღირსეული პიროვნება და მამულიშვილი

აკადემიკოსი ვანო პაპუნიძე

5

ლაშა ნადარეიშვილი



### როდის მოკლეს ილია ჭავჭავაძე და როდის დაარსდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი?

8



გიორგი მამაცაშვილი:

### ნუ დავიწყებთ მორალის კითხვას!

7

მევენახეობისა და მეღვინეობის საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი მურმან ქურიძე



12

80

### სასტვენით – მეცნიერებაში

საქართველოს რესპუბლიკა

წინ, წინაპრებისკენ!..

№17-18. ორშაბათი, 10 თებერვალი, 2025 წელი

# დავითის გზით – საქართველოს გადარჩენისკენ



## მეუფე შიო: დღეს, როდესაც კვლავ ვდგავართ დიდი გამოწვევების წინაშე და ვიხსენებთ წმინდა დავით მეფის პიროვნებას, გვმართებს დაფიქრება, რომ ქვეყნის გადარჩენის საწინდარი დავითის გზის ერთგულებაშია

**„სიმდაბლის, სინანულისა და მაღალი სულიერების გამო, ღმერთმა მიანიჭა დავით მეფეს დიდი მადლი. სწორედ ამიტომ შეაძლებინა მას უფალმა „ძლევაი საკვირველი“ და აქცია „მესიის მახვილად“ და ყოველი ქართველისთვის სამაგალითო ადამიანად,“ – ასე მიმართა საზოგადოებას თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში წმინდა კეთილმსახური მეფის, დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს ქადაგებისას საპატრიარქო ტახტის მოსაყდრემ, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტმა შიო მუჯირმა.**

მეუფემ აღნიშნა, რომ დღეს, როდესაც კვლავ ვდგავართ დიდი გამოწვევების წინაშე და ვიხსენებთ წმინდა დავით მეფის პიროვნებას, გვმართებს დაფიქრება, რომ ქვეყნის გადარჩენის საწინდარი დავითის გზის ერთგულებაშია.

**„სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა.**

*მაღალყოვლადუსამღვდელოესო მეუფეო, ძვირფასო მამებო, ძმებო და დებო, გილოცავთ დღევანდელ დღესასწაულს. დღეს წმინდა მართლმადიდებელი ეკლესია აღნიშნავს წმინდა კეთილმსახურ მეფე დავით აღმაშენებლის ხსენებას, მისი გარდაცვალებიდან 900 წლისთავს. გილოცავთ ამ დღეს და გადმოგცემთ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ლოცვა-კურთხევას.*

*დავით აღმაშენებლის შესახებ თხრობას მემატიანე იწყებს შემდეგი სიტყვებით: „ბნელსა უკუნსა შინა იწყო აღმოცისკრებად მზემან ყოველთა მეფობათამან დიდმან სახელითა და უდიდესმან საქმითა“.*

*მართლაც, დავით აღმაშენებლის პიროვნება მზესავით გამობრწყინდა საქართველოს ისტორიაში. მან, სრულიად ახალგაზრდამ, ჩაიბარა მტრებისგან იავარქმნილი და დაშლილი საქართველო და თავისი გონივრული, სამართლიანი მმართველობით, შეუპოვრობით თანდათან ქვეყანა ფეხზე დააყენა, გაამთლიანა, გააერთიანა და ძლიერ ქრისტიანულ სახელმწიფოდ აქცია.*

*რამ განაპირობა მისი მმართველობის ასეთი წარმატება?*

*იგი არ იყო მხოლოდ დიდი მეფე და ჭკვიანი პოლიტიკოსი. ამავე დროს, იგი იყო ღვთისმოსავი ადამიანი, ბავშვობიდან ქრისტიანულად აღზრდილი წმინდა მღვდელმთავარ გიორგი ჭყონდიდელის მიერ. მისი ყოველი ნაბიჯი და გადაწყვეტილება ნასაზრდოები იყო ქრისტეს რწმენითა და უფლის ნებაზე მინდობით.*

*როგორც წერს მის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი: „იყო იგი მოშიში და მოყუარე ღვთისა, გლახაკთა, ობოლთა და ქვრივთა მოწყალე, სნეულთა თვითმსახური, ეკლესიათა და ქსენონთა მაშენებელი“.*

*ყოველივე ამის გამო, მან შესანიშნავად იცოდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ეკლესიის გაძლიერებას, ეკლესიისა და სახელმწიფოს ერთობას ქვეყნის აღშენების საქმეში. ამიტომ იგი, გარე თუ შიდა მტრებთან გამუდმებულ ბრძოლასთან ერთად, ზრუნავდა ქვეყნის სულიერ და ინტელექტუალურ განვითარებაზე.*

*მან, როგორც ბრძენმა ხელისუფალმა, სწორად განჭვრიტა ეკლესიის როლი განათლების საქმეშიც. დავითმა კარგად იცოდა, რომ სწორედ ქრისტიანულ ღირებულებებზე დაფუძნებული განათლებითა და კულტურით შეუძლია ქართველ ერს თვითმყოფადობის შენარჩუნება და ღირსეული საზოგადოების ჩამოყალიბება. ამიტომაც იმხანად ქართული მონასტრების უმრავლესობა იყო არა მარტო მონაზვნური ღვაწლის სავანეები, არამედ სამეცნიერო კერებიც. აი, ასეთი დიდი ცენტრი იყო დავითის მიერ აშენებულ გელათის მონასტერთან დაარსებული აკადემიაც, რომელიც იწოდა „სხვა ათინად“ და „მეორე იერუსალიმად“.*

*მაგრამ, მოგეხსენებათ, რა არის მხოლოდ ცოდნა რწმენის, სინანულის და სიმდაბლის გარეშე?!*

*ძნელად თუ მოინახება მსოფლიო ისტორიაში ისეთი მმართველი, დავითის მსგავსი, რომელმაც ეს სათნოებები თანამგზავრებად გაიხადა მთელი თავისი მოღვაწეობის განმავლობაში. ამას ადასტურებს მისი შესანიშნავი ჰიმნოგრაფიული თხზულება „გალობანი სინანულისანი“. ეს არის მისი აღსარება ღვთის წინაშე, მისი შინაგანი სამყაროს, შინაგანი ბრძოლების აღიარება ღვთის წინაშე. იგი სულისშემძვრელი სიტყვებით მიმართავს და ავედრებს თავს უფალს: „ოდეს ზარი მეფობისა წარხდეს და დიდება დაშრტეს, შვებანი უქმ იქმნენ, ყვავილოვნება დაჭნეს, სხვამან მიიღოს სკიპტრა, სხვასა შეუდგეს სპანი, მაშინ შემიწყალენ, მსაჯულო ჩემო“. ე.ი. ამ სიტყვებით წმინდა მეფე დავითი ამბობს, რომ როცა ყველაფერი დასრულდება, როცა სხვა მიიღებს სკიპტრას, როცა სხვა გახდება ხელმწიფე, როდესაც სხვა გაუძღვება ჯარებს, აი, მაშინ შეიწყალოს უფალმა, როცა იგი მარტო დარჩება წინაშე უზენაესი მსაჯულისა – ღვთისა.*

*აი, ძვირფასო ძმებო და დებო, სწორედ ასეთი სიმდაბლის, სინანულისა და მაღალი სულიერების გამო, ღმერთმა მიანიჭა დავით მეფეს დიდი მადლი. სწორედ ამიტომ შეაძლებინა მას უფალმა „ძლევაი საკვირველი“ და აქცია „მესიის მახვილად“ და ყოველი ქართველისთვის სამაგალითო ადამიანად.*

*დღეს, როდესაც ჩვენ კვლავ ვდგავართ დიდი გამოწვევების წინაშე და ვიხსენებთ წმინდა დავით მეფის პიროვნებას, მის ღვაწლს, უნდა დავფიქრდეთ ჩვენი ქვეყნის აწმყოზე, მომავალზე, ასევე წარსულზეც – რანი ვიყავით, რანი ვართ და რანი უნდა ვიყოთ; რა მოგვიტანა დავით მეფის მმართველობამ, რა მძიმე შედეგები მივიღია, როცა კი გვიღალატია და გადაგვიხვევია დავითის გზიდან; და გვმართებს დაფიქრება იმაზე, რომ ჩვენი ქვეყნის გადარჩენის საწინდარი მდგომარეობს მხოლოდ დავითის გზის ერთგულებაში.*

## დამოუკიდებელი და ძლიერი საქართველოს სიმბოლო!

**წმინდა მეფე დავითი არის სიმბოლო გამარჯვებული, დამოუკიდებელი და ძლიერი საქართველოსი.**

მისი ცხოვრება არის მაგალითი და შთამომავლობისთვის დატოვებული ისტორია, თუ როგორ შეძლო 16 წლის ბიჭმა საკუთარი თავის სამშობლოსთვის სრული მიძღვნით, გაჩანაგებული, დანაწევრებული და დაპყრობილი ქვეყნის ფეხზე დაყენება, გამთლიანება და ყველა ხილული თუ უხილავი მტრის დამარცხება.

დავით აღმაშენებელმა ყველაზე მკაფიოდ და წარმატებით განსაზღვრა ქვეყანა, როგორც მონარქისა და ეკლესიის ერთობა, გამთლიანებული ერით, მრავალფეროვანი სამეზობლო ურთიერთობებითა და ქრისტიანულ იდენტობაზე აგებული პოლიტიკით.

საქართველოს ყველა თაობას, ნებისმიერ დროსა და ადგილას, გააჩნია პასუხისმგებლობა არა მხოლოდ აწმყოსა და მომავლის, არამედ ისტორიისა და წინაპართა წინაშეც.

გილოცავთ ჩვენი წმინდა მეფის დავით IV აღმაშენებლის ხსენების დღეს!

**შალვა პაპუაშვილი,**
**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე**

## ქუთაისში აღმაშენებლის ხსენების დღე აღინიშნა

**იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულმა ლევან ზალკალიანმა, ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელმა დავით ერემეიშვილმა, პარლამენტარმა ზაზა ლომინაძემ, ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებმა გვირგვინით შეამკეს დავით აღმაშენებლის ძეგლი და პატივი მიაგეს დიდი მეფის ხსოვნას. „დავითობის“ აღსანიშნავ ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ჩოხოსანთა საზოგადოების წევრები, გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის კადეტები.**

„მრავალჟამიერი“ შეასრულა ქუთაისის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურმა ანსამბლმა.

,,დავით აღმაშენებლის სახელს უკავშირდება ქვეყნის გაერთიანება და აღმშენებლობა. მეფე დავითი არის სიმბოლო ერთიანი და ძლიერი საქართველოსი. მისი ნაყოფიერი მოღვაწეობიდან 900 წლის შემდეგ ჩვენი ვალია, დავიცვათ ჩვენი ქვეყნის ინტერესები და გავაგრძელოთ სვლა ევროპისკენ მხოლოდ მშვიდობით, ღირსებით და კეთილდღეობით“ – განაცხადა იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულმა ლევან ზალკალიანმა.

„დავითობას“ გილოცავთ ქუთაისიდან გაერთიანებული საქართველოს პირველი დედაქალაქიდან! საქართველოს ყველაზე დიდი მეფის – დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს ყოველთვის განსაკუთრებულად აღვნიშნავთ ქუთაისში, რადგან სწორედ ჩვენს ქალაქში დაიწყო მისი მეფობა და უმნიშვნელოვანესი გამარჯვებები.“ – აღნიშნა ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელმა **დავით ერემეიშვილმა.**





## „ოცნების ქალაქი“ უპრეცედენტო სოციალური პროექტია!

**„ოცნების ქალაქის“ პროექტი არ არის მხოლოდ საცხოვრებელი კორპუსები, ჩვენს თანამოქალაქეებს სჭირდებათ სრულფასოვანი საცხოვრებელი გარემო, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ ბათუმში განაცხადა, სადაც „ოცნების ქალაქის“ მშენებლობის საფუძვლის ჩაყრასთან დაკავშირებით სიმბოლური კაფსულის ჩაგდების ცერემონიაში მიიღო მონაწილეობა.**

როგორც კობახიძემ თქვა, აღნიშნული პროექტი ბათუმის განვითარებისთვის მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს.

**„ახალ ეტაპზე ასევე იგეგმება სკოლის, საბავშვო ბაღის, რეკრეაციული ზონების და სხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა, რომლითაც თქვენ, ჩვენი თანამოქალაქეები ისარგებლებთ.**

**ეს პროექტი ასევე ბათუმის განვითარებაში შეიტანს ძალიან მნიშვნელოვან წვლილს, გაჩნდება ახალი საცხოვრებელი ფართები, სკოლა, ბაღი და სხვა ობიექტები. ეს ყველაფერი ხელს შეუწყობს ქალაქის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას და, რა თქმა უნდა, საბოლოო ჯამში, ეს ყველაფერი ხელს შეუწყობს ქალაქის ეკონომიკის განვითარებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. ამ თვალსაზრისითაც არის ეს პროექტი მნიშვნელოვანი.**

**მინდა ვისარგებლო შემთხვევით და კიდევ ერთხელ მადლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, რომელიც იყო ჩართული პროექტის პირველი ფაზის წარმატებით განხორციელებაში, მადლობა პროექტის ავტორებსა და არქიტექტორებს, რომელთა პროფესიონალიზმი აისახა ამ პროექტის წარმატებაში, ასევე, მადლობა მშენებლებს, ინჟინრებს, ტექნიკურ პერსონალს – ყველას, ვინც ძალისხმევა არ დაიშურა იმისათვის, რომ პროექტის პირველი ფაზა წარმატებით დასრულებულიყო. რა თქმა უნდა, განსაკუთრებული მადლობა კიდევ ერთხელ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებას და დარწმუნებული ვარ, რომ პროექტის მეორე ფაზა ასეთივე წარმატებით განხორციელდება. ყველას მინდა მოგილოცოთ დღევანდელი დღე. 2028 წელს დასრულდება პროექტის მეორე ფაზა და ყველას წინასწარ გილოცავთ ამ მნიშვნელოვანი საქმის დაწყებას“,** – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.




„რადიკალების „შავი დღეები" გრძელდება, სკანდალი USAID-ის საეჭვო მილიარდების შესახებ, სულ უფრო მასშტაბური ხდება. ვაშინგტონის საერთაშორისო განვითარების სააგენტო, რომელიც ახლა უშუალოდ სახელმწიფო მდივანს ექვემდებარება, მსოფლიოს მასშტაბით ყველა მისიას ხურავს და თანამშრომლებს სამშობლოში აბრუნებს. საერთაშორისო მედია წერს, რომ პერსონალი სრულად შვებულებაშია გაშვებული.

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის, მარკო რუბიოს განცხადებით, სხვადასხვა ქვეყანაში, შეერთებული შტატების ელჩებისგან ისმის პრეტენზიები, რომ USAID არამხოლოდ არ თანამშრომლობს მათთან, არამედ, ძირს უთხრის მათ სამუშაოს, რაც მასპინძელი მთავრობების აღშფოთებას იწვევს. საზღვარგარეთ აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ჩავარდნებში USAID-ის კვალზე ლაპარაკობს ყოფილი კონგრესმენი რონ პოლი, რომელიც ახლა ილონ მასკის მრჩეველია. მისი მტკიცებით, სააგენტო ერევა უცხო ქვეყნების შიდა საქმეებში და ენჯეოების მეშვეობით ძირს უთხრის არჩეულ მთავრობებს. ამ კონტექსტშივე ახსენებს რონ პოლი საქართველოს.

საქართველოში კი იგეგმება ამერიკული „ფარას" ზუსტი ასლის და ბრიტანული მედიის კანონის შემოღება; საჯარო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში აღარ იქნება სავალდებულო არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობა; შეიქმნება ფონდი საზოგადოებრივი ორგანიზაციების დასაფინანსებლად; გამკაცრდება კანონმდებლობა მიგრაციის შესახებ, ასევე, – ანტინარკოტიკული პოლიტიკა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება. ხელისუფლებას უფრო მკაცრი რეაგირება ექნება ქვეყნის სუვერენიტეტის ხელყოფის და ქაოსის მოწყობის მცდელობაზე".

## სოზარ სუბარი:
# ახლა არის ძალიან კარგი დრო, რომ რეფორმები მაქსიმალურად სწრაფად დავიწყოთ!

**პირველი გვერდიდან**

ამის შესახებ შალვა პაპუაშვილმა სერიოზული გამოძიება ჩაატარა. მაშინ მათ უნდოდათ, ქვეყანაში მოეხდინათ სახელმწიფო გადატრიალება, რაც არ გამოუვიდათ, თუმცა დღეს უკვე ყველა ხედავს, რომ ასეთია ამ ორგანიზაციის პოლიტიკა ძალიან ბევრ ქვეყანაში და მათ შორის საქართველოში.

როდესაც აშშ-ის ყოფილ სახელმწიფო მდივანს ენტონი ბლინკენს დაუსვეს კითხვები კონგრესში, ამერიკის მთავრობის მიერ გაწეული დაფინანსებების მიზნობრიობასთან დაკავშირებით, ძალიან ბევრ თემაზე, ის პასუხისთვის თავის არიდებას ცდილობდა. ბოლოს ბევრი რამ აღიარა, მათ შორის ისიც, რომ ნეპალში, მაგალითად, ნახევარი მილიონი დოლარით აფინანსებდნენ იქაური რელიგიის საწინააღმდეგო მოძრაობებს და ათეიზმის პროპაგანდას.

დღევანდელმა მოქმედმა ვიცე-პრეზიდენტმა კი განაცხადა, – „როგორ მივედით იქამდე, რომ ამერიკა გადასახადის გადამხდელთა თანხებს მსოფლიოში იმ ენჯეოებს უგზავნის, რომლებიც რელიგიურ თავისუფლებას ძირს უთხრიან?!"

მართლაც რა გვიღირს იმის ფასად, რომ ებრძოლონ ტრადიციებს, ეკლესიას, სუვერენიტეტს?! სულ რომ მილიარდები იხარჯებოდეს ქვეყნის დახმარებაში (რაც არ იხარჯება), მაინც არაფერი გიღირს იმად, რომ სუვერენიტეტი წაგართვან, შენს ტრადიციას, შენს რელიგიას ებრძოლონ, დაგავიწყონ ვინ ხარ, საიდან მოსულხარ და რას წარმოადგენ ამ გლობალურ სამყაროში, – შენი ხმა წაგართვან! რა დახმარებაზეა ლაპარაკი, როცა რომელიმე სოფელში, საბავშვო ბაღზე, ფერმაზე ან მაცივარზე არის გამოკრული რომ USAID ეხმარება, მაშინ, როდესაც რაღაც 20 ათასი ლარით დააფინანსა კონკრეტული პროექტი, 120 მილიონი დოლარი კი ქვეყნის გადატრიალების მცდელობაში და აგენტურის დაფინანსებაში დახარჯა.

**არაერთხელ ვამხილეთ ჯერ ყოფილი ელჩი, ქალბატონი დეგნანი და შემდეგ ახლანდელი ელჩი დანიგანი, როდესაც ისინი ლაპარაკობდნენ აშშ-ის 6-მილიარდიან დახმარებაზე საქართველოს მიმართ! ვერანაირ 6-მილიარდიან დახმარებამდე ჩვენ ვერ მივედით, 3,5 მილიარდს ვერ გავცდით, თუმცა, აქედანაც, ნახევარზე მეტი თანხით, ანტისახელმწიფოებრივი მავნებლობები დაფინანსდა. თუ მაინცდამაინც ფინანსებზე მიდგება საქმე, ჩვენ დავითვალეთ, რომ დაახლოებით 1,5 მილიარდი დოლარის შეღავათი გავუწიეთ ამერიკის ბიუჯეტს, როდესაც ამერიკულ მისიებში ვაგზავნიდით ქართველ ჯარისკაცებს ავღანეთში, ერაყში თუ კოსოვოში, ჩვენი ფინანსებით. რამდენი სიცოცხლე დავკარგეთ და რამდენმა ჯარისკაცმა შესწირა ჯანმრთელობა ამ მისიებს, ამაზე აღარ ვლაპარაკობთ, – ეს არის ყველაზე მძიმე, მაგრამ თანხაზე თუ მიდგება საქმე, თანხაც გვაქვს გაღებული ჩვენი მაშინდელი პარტნიორისთვის.**

**– ოპოზიცია ცდილობს, ისე შეფუთოს ყველაფერი, რომ თითქოს ეს დროებითი მოვლენაა და დაფინანსება მომავალში გაგრძელდება, რადგან ნორმალურად მიაჩნიათ, როცა ახალი ადმინისტრაცია გადახედავს ხოლმე მისი წინამორბედის საქმიანობას.**



**საინტერესოა, ასე მარტივად არის საქმე, თუ რეალურ ცვლილებებს ველოდებით?**

– ოპოზიცია დღეს არის დეზორიენტირებული, აღარ იცის, რა თქვას, აღარ იცის, რას მიედ-მოედოს, თუმცა პერიოდულად, თავიანთ ნამდვილ ზრახვებსა და დამოკიდებულებას აშშ-ის ახალი ადმინისტრაციის პოლიტიკის მიმართ, მაინც ავლენენ. ეს გამოიხატება ზოგჯერ დიდის გინებით, ტრამპისა და მისი პოლიტიკის მიმართ, რასაც პირდაპირი ტექსტით წერენ ოპოზიციონერი ლიდერები და „ენჯეოშნიცები" თავიანთ ფბ-გვერდებზე, რომლებიც ტრამპს ნეოფშისტს უწოდებენ. ეს არის მათი დამოკიდებულება სინამდვილეში. ამ დროს ფაშიზმი იყო ის, რა პოლიტიკასაც თვითონ ახორციელებდნენ ძალიან ბევრი მიმართულებით და დღეს ეს პოლიტიკა იცვლება. იცვლება ისიც, რომ მათ დაფინანსება აღარ ექნებათ, რის გამოც გამართეს ვაი-ვიში და სამათხოვროდ დაიწყეს ხელის გაწვდენა. ძალიან მაინტერესებს, რა პასუხს გასცემენ იმ ადამიანებს, რომლებსაც ჩვენ მუდმივად ვაფრთხილებდით?! – მე პირადად, არაერთხელ გამიფრთხილებია რიგითი მოქალაქეები, რომ ნუ ჩადიხართ დანაშაულს, როცა გადიხართ მანიფესტაციებზე, მიტინგებზე... თორემ ეს ოპოზიცია მშვიდად წავა სახლში და თქვენ დარჩებით კანონის პირისპირ მარტო! კანონის წინაშე ყველა აგებს პასუხს, ჯარიმაც თქვენი გადასახდელი იქნება და ციხეშიც არავინ ჩაჯდება თქვენს ნაცვლად, ეს ოპოზიციონერები კი მშვიდად გააგრძელებენ ქვეყნის საწინააღმდეგოდ მავნებლობას! ვინც არ დაიჯერა, სამწუხაროდ, მათ მოუწევთ პასუხისგება კანონის წინაშე!

**– ერთია, რას ამბობენ თქვენი ოპონენტები, მაგრამ მეორეა, რა იქნება რეალობა, - როგორ გაგრძელდება ქართულ-ამერიკული ურთიერთობები! ამ პროცესს ჰყავს სკეპტიოსები. მაგალითად, წავიკითხე ამერიკის ყოფილი ელჩის იალოვიცის განცხადება, სადაც ის საუბრობს, რომ არსებითად არაფერი შეიცვლება. შესაძლოა, ტრამპი ენდოს ევროპელებს და ეს ურთიერთობა იმავე ჭრილში გაგრძელდეს, რაც იყო წინა წლებში...**

– იალოვიციც და აშშ-ის რამდენიმე ყოფილი ელჩი ზუსტად არიან ჩაწერილი იმ კლუბში, რომლებიც ყველაფერს აკეთებდნენ ქართულ სახელმწიფოს საზიანოდ, რომლებსაც ჰყავთ აქ თავიანთი აგენტურა მიხეილ სააკაშვილისა და მისი პარტიებად დაყოფილი ბანდის სახით. კარგად გვახსოვს მათი განცხადებები, მათი პოლიტიკა, ამიტომ დიდ ყურადღებას არ მივაქცევდი ამ განცხადებებს. ისინი ახლა ალბათ შოკში არიან, რადგან ის პოლიტიკა, რასაც ტრამპის ადმინისტრაცია ატარებს, მათ წინააღმდეგაც ისევეა მიმართული, როგორც USAID-ის და დიფსთეითის აქაური აგენტურის წინააღმდეგ. ასე რომ, იელოვიცის და მსგავსი ელჩების განცხადებებს არა აქვს არანაირი მნიშვნელობა!

ევროკავშირი თვითონ არის შოკში, მათმა ლიდერებმა თვითონ არ იციან როგორ ელაპარაკონ და, საერთოდ, რა პოლიტიკა უნდა გაატარონ, ტრამპის ადმინისტრაციის პირობებში, ამერიკის მიმართ. პირდაპირ თქვა ტრამპმა, რომ მისი მოკავშირე ევროპაში, მისი სათქმელის გამხმოვანებელი არის უნგრეთის პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ორბანი. ორბანთან ჩვენი დამოკიდებულება კი, ყველასთვის ცნობილია. რაც შეეხება მოლოდინს, მოიხსნება თუ არა ის საფრთხეები, რაც აშშ-ის ყოფილი ადმინისტრაციისგან მოდიოდა, – რა თქმა უნდა, ნაწილობრივ მოიხსნება, იმიტომ, რომ ზეწოლა უკრაინის ომში ჩართვაზე აღარ იქნება და აღარ იქნება თავსმოხვეული ლგბტ-სიგიჟეების პოლიტიკის გატარების მოთხოვნა. რაღაცაში შეიძლება არ გვქონდეს სრული თანხვედრა, რადგან ამერიკას თავისი პოლიტიკა აქვს და ჩვენ - ჩვენი, მაგრამ ბევრი რამ შეიცვლება. ევროპაზე და კანადაზე დიდი მოკავშირე ამერიკას არ ჰყოლია, მაგრამ არ ემთხვევა მათი პოლიტიკა ერთმანეთს და რატომ ვფიქრობთ, რომ ჩვენი პოლიტიკა ყველაფერში ერთმანეთს დაემთხვევა? სადაც არ დაემთხვევა, იქ ისევ გავაგრძელებთ ჩვენი სუვერენიტეტის დაცვას, მაგრამ ასეთი ზეწოლა აღარ იქნება, ეს უკვე საქართველოს გამარჯვებაა, რაც ძალიან სწრაფ ბიძგს მისცემს ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული ინსტიტუტების განმტკიცებას და ეკონომიკის განვითარებას.

**– რაც შეეხება საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელიც დაანონსდა მედიის მიმართულებით, საჯარო მოხელეების მიმართულებით და სისხლის სამართლის კოდექსში, – თქვენი ოპონენტები პირდაპირ ამბობენ, რომ ეს არის რეპრესიები, იმისათვის, რომ საპროტესტო მუხტი დაიშალოს და ადამიანები ქუჩაში ვეღარ გავიდნენ. დრაკონულიც კი უწოდეს მათ ამ ცვლილებებს. რეალურად რას ემსახურება ეს პროცესი?**

– როდესაც დავიწყეთ ლაპარაკი იმაზე, რომ უნდა მივიღოთ უცხოური დაფინანსების გამჭვირვალობის შესახებ კანონი, რათა ვიცოდეთ ვინ, რამდენს და რაში ხარჯავს ჩვენს ქვეყანაში, ეს კანონი მონათლეს ანტიდემოკრატიულად, „რუსულ კანონად"! დღეს, როდესაც გამჟღავნდა რას აფინანსებდა ამერიკის მთავრობის ეს კონკრეტული სააგენტო საქართველოში, დავინახეთ, თურმე როგორი აუცილებელი ყოფილა ამ კანონის არსებობა! ამიტომაც ოპოზიციის მსგავს განცხადებებს არა აქვს არანაირი მნიშვნელობა. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ საქართველოს სუვერენიტეტი იყოს დაცული, საქართველოს სახელმწიფო იყოს დაცული და მივაღწევთ კიდეც ამას!

პირდაპირ ვიტყვი, რაც აქამდე ღიად არ მითქვამს: ერთ-ერთ ყველაზე მაღალ თანამდებობის პირთან კაბინეტში, ამერიკის მაშინდელმა ელჩმა, პირდაპირ თქვა, რომ „ჩვენ ამას ვუწოდებთ რუსულ კანონს" – კი, მაგრამ, როგორ უწოდებთ რუსულ კანონს, ხომ იცით, რომ არ არის რუსულიო, ჰკითხეს! – რა მნიშვნელობა აქვს, ჩვენ ამას მაინც ვუწოდებთ რუსულ კანონსო, განაცხადა და მართლაც ასე „დაბრენდეს" ჩვენი ქართული გამჭვირვალობის კანონი. არ უნდოდათ ძალიან რბილი კანონი?! – ახლა უკვე სიტყვასიტყვით გადმოვიღებთ ამერიკულ „ფარას", რომელიც იქნება მორგებული ქართულ რეალობაზე, მაგრამ იქნება სიტყვასიტყვით გადმოღებული ამერიკული კანონი!

**– თუმცა, თქვენი ოპონენტები გაკრიტიკებდნენ მაშინაც, როდესაც საუბრობდით „ფარაზე". განსახილველად ხომ ორი ვერსია იყო შეტანილი. ისინი ამბობდნენ, რომ ეს კანონი ეხება ლობისტებს და არა ენჯეოებს.**

– ჰოდა, თუ ის მხოლოდ ლობისტებს ეხება, რადგან სიტყვასიტყვით გადმოვიტანთ, ესეც მხოლოდ ლობისტებს შეეხება. თუმცა, ამერიკული „ფარა" ეხება ენჯეოსაც, ლობისტსაც და ყველას. შესაბამისად, ქართული კანონიც შეეხება ყველას. სიტყვასიტყვით გადმოტანილი ნიშნავს, რომ სიტყვასსიტყვით აღსრულდება ეს კანონი იმათ მიმართ, ვისაც ამერიკაში ეხება და ვერ აღსრულდება იმათ მიმართ, ვისაც ამერიკაში არ ეხება! სანქციებიც იქნება უფრო მკაცრი და ზოგი ქართული ენჯეო რომ ესტონეთში გადარეგისტრირდა, ზოგი ლატვიაში და ლიეტუვაში, აქ უკვე ვერანაირ გვერდის ავლის გზებს ვეღარ მონახავენ, იმიტომ, რომ ამერიკული კანონი არ ტოვებს გვერდის ავლის არანაირ საშუალებას. მაშინ, როცა ქართული კანონი, რომელიც მათ არ მიიღეს, ისეთი ლიბერალური იყო, რომ გვერდის ასაქცევს ტოვებდა.

იგივეს ვიტყოდი მედიასთან დაკავშირებით – თუ ვამბობთ, რომ საქართველოში არ არის ისეთი დემოკრატია, როგორიც არის, მაგალითად, დასავლეთში, გერმანიაში, საფრანგეთში ბრიტანეთში... კი ბატონო, მაშინ გადმოვიღებთ ბრიტანულ კანონმდებლობას, რომ იგივე სტანდარტი იყოს ქართულ ჟურნალისტიკაში, როგორიც არის ბრიტანულ ჟურნალისტიკაში.

რაც შეეხება, თანამშრომლების გაშვებას სამსახურებიდან, – მთელი დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის განმავლობაში, ვამბობთ, რომ ამერიკა არის ქვეყანა, რომლის მაგალითებიც ჩვენ უნდა გადმოვიღოთ და არავის უთქვამს, რომ ამერიკაში დემოკრატია არ არის. თუმცა, ტრამპი თავისი ერთი განცხადებით, ყოველდღიურად რამდენიმე ათას ადამიანს უშვებს სამსახურიდან, მისი ერთი განცხადებით სააგენტოები უქმდება... ჩვენ კი ამ გზით არ მივდივართ, ამ მოდელის გადმოღებას, რაც არის ამერიკაში, ჩვენ არ ვაპირებთ, მაგრამ თუ ჩვენი მიდგომები არ მოსწონთ, მზად ვართ, ამ შემთხვევაშიც ამერიკული მოდელი გადმოვიღოთ!

თემის გაგრძელება მე-4 გვ.




# ირაკლი გოგავა: ქართული მედია უცხოური ფულით არ უნდა ფინანსდებოდეს!



**ვაგრძელებთ** საუბარს USAID-ის სკანდალზე და შემოგვიერთდება პოლიტოლოგი **ირაკლი გოგავა.**

**– ბატონო ირაკლი, რას გვიჩვენებს ეს პროცესი, რაც ახლა ამერიკაში ვითარდება, ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ფონდის წინააღმდეგ, რომელიც საშუალოდ 30-დან 40 მილიარდ დოლარამდე ხარჯავს ყოველწლიურად?**

– საოცარი წმენდა წამოიწყო დონალდ ტრამპმა. ის აშრობს ჭაობს და იწყებს ე.წ. დიფსთეითის განადგურების პროცესს. პირადად მე, ამას სიამოვნებით ვაკვირდები, რადგან, შეიძლება ითქვას, ათწლეულების განმავლობაში იყო ჩემი ქვეყანაც ამ დიფსთეითის სამიზნე. USAID დახურულია, ის შეუერთეს სახელმწიფო დეპარტამენტს, რომელსაც მარკო რუბიო ჩაუდგა სათავეში; ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის ყველა თანამშრომელს შესთავაზეს სახლში წასვლა, რვა თვის ხელფასის წინასწარი გადახდით, რაც ნიშნავს იმას, რომ საქართველოში დიდი საელჩო რომ გვაქვს, სადაც ათასზე მეტი ადამიანი მუშაობს, მათგან შეიძლება მხოლოდ რამდენიმე ათეული დიპლომატი დარჩეს, იმიტომ, რომ საზღვარგარეთ მყოფ USAID -ის თანამშრომლებსაც უკან, სახლში იწვევენ. ასევე გაიწვევენ ცენტრალური სადაზღვევო სამსახურის თანამშრომლებსაც, რადგან სრული რეფორმა ტარდება, არნახული წმენდა მიდის, ტრამპმა დაიწყო ე. წ. „პერესტროიკა."

საერთოდ, თავიდანვე იყო ჩაფიქრებული, რომ ეს USAID და მსგავსი ფონდები, სხვა სახელმწიფოების ინტერესების გამტარებელი სააგენტოები უნდა ყოფილიყო. გასაგებია, მათი ჰუმანიტარული მისიები: რამდენიმე ტომარა ფქვილი, კომპიუტერები, ტრაქტორიც კი შეიძლება ვიღაცას აჩუქონ, მაგრამ, ძირითადად, ეს არის გამოყენებული დაზვერვის სამსახურებისთვის საფარის გასაკეთებლად, იმისათვის, რომ წლების განმავლობაში სხვადასხვა რეგიონში აქტიურად იმუშაონ, თუცა, ჩვენს შემთხვევაში ამას კიდევ ნეოლიბერალური დღის წესრიგი დაემატა.

**– ერთი არის იდეოლოგიური ნაწილი და მეორე არის უშუალოდ ხელისუფლებების წინააღმდეგ მიმართული ქმედებები...**

– დიახ, გრანტი ებრძვის სწორედ ამ იდეოლოგიურ შემადგენელს. ამიტომ ახლა არის ძალიან კარგი დრო, რომ ეს რეფორმები მაქსიმალურად სწრაფად დავიწყოთ.

**– პროცესი მეტროპოლიაში დაწყებულია, მაგრამ როდის მივა ის პერიფერიამდე? უკვე არის ცვლილებები, თუ ისევ ძველი ინსტრუქციებით მუშაობენ ისინი პატარა ქვეყნებში?**

– რა თქმა უნდა, ჯერჯერობით ეს ვერტიკალი არ არის ეფექტური, იმიტომ, რომ ახლა მაგალითად, ცენტრლური სადაზვერვო სამსახურიდან ყველას ათავისუფლებენ, ეს არის ათი ათასობით ადამიანი. ასევეა სახელმწიფო დეპარტამენტში. USAID -მა 3 ათასი ადამიანი გაუშვა სახლში და ჯამში 10 ათასი კაცი მუშაობს ახლა მთელ მსოფლიოო ქსელში. ამიტომ, სანამ ეს პრეტრუბაციები არ მორჩება, იქამდე, შეიძლება, არც არაფერი მოვიდეს სხვა ქვეყნებამდე. ეს შეიძლება რაღაც პერიოდი გაიწელოს, სანამ ადგილზე არ დალაგდება ყველაფერი.

**ახლა ილონ მასკი შევიდა ფედერალურ სტრუქტურებში, რომელსაც ჰყავს 7 გენიოსი, 19-დან 25-წლამდე ახალგაზრდა, მთელი ამერიკიდან მოგროვებული. ეს ახალგაზრდები, რომლებიც მასთან „ტესლაში" და „იქსში" მუშაობდნენ, ახლა ამოწმებენ ამერიკის 6-ტრილიონიანი ბიუჯეტის მთელ ტრანზაქციას და ყოველდღე იწერება თურმე ფული რაში იხარჯებოდა. მათი მიზანია, ტრილიონი დოლარით შეამცირონ ამერიკის ფედერალური ბიუჯეტის ხარჯები.**

ცხადია, ეს, რაც თბილისის ქუჩებში ხდება, უცხოეთიდან ფინანსდება, მათ შორის შეერთებული შტატების ფონდებიდან, რასაც საქართველოს ხელისუფლება ღიად ამბობს, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მათ არაფერი გამოუვიდათ, მაინც მიდის ეს დაფინანსება. რაშია საქმე? საქმე ხომ არ გვაქვს უბრალოდ გამოყოფილი ფულის ათვისებასთან?

მაგალითად, მარკ რუბიომ თქვა ინტერვიუში, რომ USAID-დან გამოყოფილი 1 დოლარიდან, ადგილზე, საჭირო პროგრამებზე, მიდიოდა მხოლოდ 12 ცენტი. ანუ USAID-ის იმ გაცხადებულ მიზებზე, როგორიცაა: ჰუმანიტარული დახმარება, შიმშილთან ბრძოლა, სიღარიბესთან ბრძოლა და ა.შ. მხოლოდ 12 პროცენტი იხარჯებოდა თურმე.

**– მაგრამ, ეს ხომ არ იყო რომელიღაც ხელმძღვანელის დამოუკიდებელი გადაწყვეტილება, ეს ხომ სინამდვილეში აშშ-ის ადმინისტრაციასთან თანხმდებოდა! ანუ პროცესი როგორ მუშაობს, ესეც რომ ახსნათ, რადგან არ დარჩეს შთაბეჭდილება, რომ თითქოს USAID-ის ხელმძღვანელმა გადაწყვიტა ეს თანხები ისე განეკარგა, როგორც თავად სურდა და ამაში არ იყო ჩარეული მაშინდელი ადმინისტრაცია.**

– ლიბერალ-გლობალისტებმა ააწყვეს უზარმაზარი მსოფლიო დონის სტრუქტურა, სადაც, პირველ რიგში, დაფინანსების წყარო იყო ამერიკის ფედერალური ბიუჯეტი, მათი საფულე იყო USAID-ი. მათ მეინსტრიმული მედია მთლიანად ჩაიდეს ჯიბეში ამერიკაშიც და ევროპაშიც. ევროკავშირის წევრ ყველა სახელმწიფოში, უნგრეთისა და სლოვაკეთის გარდა, ყველა მეინსტრიმული მედია იყიდეს. ეს პროცესი 25 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. შემდეგ კონტროლზე აიყვანეს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია, გაერო და მისი სტრუქტურები. ახლა ტრამპი გავიდა ადამიანის უფლებათა გაეროს კომისიიდან, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ 18 მილიარდს იხდის ამერიკა გაეროში საწევროს, ყოველ წელს, – ვერ აკონტროლებს ვერაფერს და შეუწყვიტა მათ დაფინანსება. იქ რამდენიმე ათეული დივიზიონია, მხოლოდ გაერო და უშიშროების საბჭო ხომ არ არის?! არგენტინა უკვე გავიდა „ჯანმოდან" და ჩვენც, თუ რაღაცას მოვიფიქრებთ ამ კუთხით, ურიგო არ იქნება. ცენტრალურ სადაზღვევო სამსახურს, ამერიკის შიგნით, აკრძალული აქვს მოქმედება და მთელი მისი ინფრასტრუქტურა, რომელსაც ამერიკაში უნდა ემოქმედა, კანადაშია განლაგებული.

გადატრიალების მეოთხე მცდელობა იყო უკვე ამ ხელისუფლების პირობებში საქართველოში, მაგრამ საქართველო უნიკალური შემთხვევა აღმოჩნდა, სადაც ჩავარდა სახელმწიფო გადატრიალება, ოღონდ ისე ჩავარდა, რომ აგენტურული მედია არ დახურულა. სხვა ქვეყნებში ყველგან დახურეს მედია, სიგნალები გაუთიშეს, შეუცვივდნენ... აქ კი, სწორი მესიჯებით, ხალხის პოზიციაზე რომ დადგა ხელისუფლება, ამან იმუშავა.

**– ხელისუფლების ოპონენტები ამბობენ, რომ ეს 90 დღე, რა პერიოდითაც შეჩერებულია პროცესი, მალე გაივლის და დაფინანსება აღდგება, რადგან თავად ტრამპს დასჭირდება ეს ინფრასტრუქტურა, ეს ადამიანები და თავად ის დააბრუნებს ამ ხალხს. ამ მოლოდინმა რამდენად შეიძლება გაამართლოს?**

– შეიძლება, კი ბატონო, მაგრამ ამიტომაც საქართველოს სახელმწიფომ უნდა მიიღოს რამდენიმე მკაცრი გადაწყვეტილება. პირველი ის, რომ ქართული მედია არ შეიძლება ფინანსდებოდეს უცხოური ფულით, ეს არის აუცილებლად გასაკეთებელი. მეორე – გრანტების ასე უპრაგონოდ გაცემა, ვისაც გინდა რომ აძლევ და რასაც გინდა აკეთებინებ, არ შეიძლბა, უნდა შეიქმნას სახელმწიფოს ქვეშ საზოგადოებრივი ფონდი, სადაც ყველა გრანტის მომცემი უცხოელი შეიტანს ფულს მიზნობრივად, შემდეგ ეს ფონდი გამოაცხადებს ტენდერს და რომელი ენჯეოც უკეთეს წინადადებას შესთავაზებს, იმას გადასცემენ შემოსულ თანხას. ასე უნდა ვიმუშაოთ, თორემ ახლა მთელი 30 ქვეყნის აგენტურა მუშაობს ჩვენს ქვეყანაში, ზოგი ცოტას ხარჯავს და ზოგიც – მილიონებს.

ტრამპს აქვს 3-4 თვიანი იმუნიტეტი და ამ ხნის განმავლობაში ვერავინ ვერაფერზე მოედავება. ამიტომ მან ამ სამ-ოთხ თვეში უნდა დაალაგოს ყველაფერი. ტრამპი მზა გეგმით არის მოსული, რომელიც შეთანხმებულია აშშ-ის კონსერვატორ ელიტასთან. მათ ზუსტად იციან, რას აკეთებენ და საით მიდიან. ისინი აძლიერებენ საერთაშორისო ფრონტს და ახლა უკვე, ჩვენ შეგვიძლია საქართველოც მოვიაზროთ ტრამპის საერთაშორისო ინტერნაციონალში. ნამდვილად ასეა, იმიტომ, რომ ძალიან ცოტა მოკავშირე ჰყავს ამერიკას: არგენტინა, უნგრეთი, სლოვაკეთი, აზერბაიჯანი, საქართველო... თუმცა, უჩუმრად, ჩინეთი და რუსეთიც მისი მოკავშირეა, ამ იდეოლოგიურ ბრძოლაში.

ახლა ორი დონის ბრძოლა მიმდინარეობს, – ერთი არის იდეოლოგიური ბრძოლა და მეორე გეოპოლიტიკური განზომილებისთვის ბრძოლაა. აქ უკვე ყველას თავისი ინტერესები აქვს და ეს არის მუდმივი ბრძოლა, სანამ სახელმწიფოები იარსებებენ. მარკო რუბიომ ძალიან საინტერესო პასაჟს გაუსვა ხაზი ინტერვიუში. მან თქვა, რომ მონოპოლარული სამყარო არის ანომალიია, რომ ეს არის ცივი ომის პროდუქტი. რუბიო გულისხმობს, რომ აშშ ვერ წვდება ყველგან პასუხისმგებლობის აღებას და ადრე თუ გვიან, დავასრულებთ იმით, რომ შეიქმნება მულტიპოლარული სამყარო. ის ახსენებს კონკრეტულად ჩინეთს და, გარკვეულწილად, რუსეთს, ანუ, სამ ქვეყანას, – ამერიკას, ჩინეთსა და რუსეთს, რაც არის, ჩემი აზრით, განაცხადი იმისა, რომ ჩატარდება იალტა-2. ეს დამოკიდებულია ბევრ ცვლად ფაქტორზე, მათ შორის უკრაინის ომზე და ლიბერალებთან ბრძოლასა და წმენდაზე, რაც ახლა ამერიკაში მიმდინარეობს, მაგრამ ადრე თუ გვიან, იალტა-2 ჩატარდება, სადაც ახალი წესები იქნება შესამუშავებელი. რაღაცას ძველი წესებიდან დატოვებენ, რაღაცას ახალს დაამატებენ, მაგრამ ეს ჩვენთვის, პატარა ქვეყნებისთვის საუკეთესო გამოსავალი იქნება.

მოამზადა
**ოლღა ცქიტიშვილმა**

## ტრამპის ადმინისტრაციისგან წამოსული ტალღა საქართველოში მოქმედ აშშ-ის საელჩოსაც მისწვდება!

**მართალია, დონალდ ტრამპს ჯერ არ უხსენებია ამერიკის საელჩოს ქმედებები სხვადასხვა ქვეყნებში, მათ შორის, საქართველოში, მაგრამ საქართველოს პრემიერი წინ უსწრებს მოვლენებს, ერთგვარ მესიჯს გზავნის ამერიკაში და ამხელს საქართველოში მოქმედ აშშ-ის საელჩოს, რომ არც ისე უმწიკვლო იყო მისი საქმიანობა საქართველოში.**




ირაკლი კობახიძე ამბობს, რომ საქართველოში აშშ-ის საელჩო, „USAID", „NED" და სხვა ინსტიტუციები კოორდინირებულად მოქმედებდნენ ქართველი ხალხისა და ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ. პრემიერი იმედს გამოთქვამს, აშშ-ის ახალი ადმინისტრაციის პირობებში შეიცვლება აშშ-ის საელჩოს მიდგომა ქართველი ხალხის და ქართული სახელმწიფოს მიმართ და დასრულდება ის მახინჯი კოორდინაცია, რაც არსებობდა აშშ-ის საელჩოს, „USAID"-s, „NED"-ს და სხვა სტრუქტურებს შორის.

ირაკლი კობახიძე იმასაც ამბობს, რომ იყო მძიმე ფაქტები, როცა კონკრეტული ელჩები ცდილობდნენ და დღემდე ცდილობენ, უხეშად ჩაერიონ საქართველოს შიდა საქმეებში. ამდენად, პრემიერი მოითხოვს, ცვლილებები თანაბრად შეეხოს ზემოთ აღნიშნულ ორგანიზაციებსა და აშშ-ის საელჩოს საქმიანობას.

„USAID"-isa da „NED"-ის კორუმპირებულობა და თაღლითობა დონალდ ტრამპის თვალსაწიერში უკვე მოექცა და მან დახურვის განაჩენი გამოუტანა ამ ორგანიზაციებს, თუმცა რადიკალებისა და გადამტრიალებლების საყრდენად აშშ-ის საელჩოებს არანაკლები წვლილი მიუძღვით. ეს ორგანიზაციები შეხმატკბილებულად, ე.წ. თეთრი ხელთათმანებით მოქმედებდნენ სხვადასხვა ქვეყნებში ხელისუფლებების დამხობის მიმართულებით.

# ღირსეული პიროვნება და მამულიშვილი, აკადემიკოსი ვანო პაპუნიძე



## დაბადებიდან 85 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 60 წელი

**ჭეშმარიტი მეცნიერი, გამოჩენილი მეტყევე-ეკოლოგი, ღირსეული პიროვნება და მამულიშვილი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს დამსახურებული მეტყევე, ღირსების ორდენის კავალერი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი ვანო პაპუნიძე დაიბადა 1940 წლის 10 თებერვალს ქედის რაიონის სოფ. ზენდიდში.**

აკად. ვანო პაპუნიძემ, როგორც ნიჭიერმა და მიზანსწრაფულმა ახალგაზრდამ, ჯერ კიდევ ინსტიტუტში სწავლისას მიიპყრო პროფესორ-მასწავლებელთა ყურადღება, სადაც იგი სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების აქტიური წევრი გახდა. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, აკად. გიორგი გიგაურის ხელმძღვანელობით, ის აქტიურად ჩაება საქართველოს სატყეო მეურნეობის განვითარების საქმეეებში. აქ მან თავი მოუყარა საქართველოს სატყეო მეურნეობის საფონდო მასალებს, რის დამუშავების საფუძველზეც, ზუსტი ანალიზით შეადგინა ქვეყანაში სატყეო მეურნეობის განვითარების სტრატეგია. ჯერ კიდევ ახალგაზრდა მეცნიერს ერგო პატივი, ემუშავა გამოჩენილ მეცნიერ-მეტყევეებთან, აკად. ვასილ გულისაშვილთან, პროფ. ვლადიმერ მათიკაშვილთან, საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ევგენი ველიხოვსა და პროფ. ვალენტინ პროტოპოპოვის გვერდით.

1972 წელს ვანო პაპუნიძე წარმატებით იცავს საკანდიდატო დისერტაციას, ხოლო 1990 წელს სადოქტორო დისერტაციას, 1991 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება.

1989-2006 წლებში პროფ. ვანო პაპუნიძე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ბოტანიკური ბაღის დირექტორია, ამავე დროს ხელმძღვანელობდა მცენარეთა ინტროდუქციისა და აკლიმატიზაციის სამეცნიერო განყოფილებას. მისი ხელმძღვანელობით აქტიური სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა წარიმართა ადგილობრივი ფლორისა და ბუნების დაცვის, მცენარეთა სელექციისა და გენეტიკის, მცენარეთა ფიზიოლოგიისა და ბიოქიმიის, მეყვავილეობისა და დეკორატიული მებაღეობის და მცენარეთა დაცვის მიმართულებებით. მის მიერ პირველად იქნა დამუშავებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტყის მცენარეულობის რაციონალური გამოყენებისა და დაცვა-აღდგენის მეცნიერულად დასაბუთებული კონცეფციები.

უდიდესია აკად. ვანო პაპუნიძის, როგორც მეცნიერის და ხელმძღვანელის ღვაწლი, ამაგი და დამსახურება საქართველოში ბიოლოგიური ცოდნის გავრცელების, უმაღლესი სასწავლებლების, მეცნიერ-მუშაკების და სტუდენტების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერის – ბათუმის ბოტანიკური ბაღის ფლორისტული შემადგენლობის, პარკების, ბაღის ლანდშაფტურ-დეკორატიული ობიექტების სრულყოფასა და განვითარებაში.

აკად. ვანო პაპუნიძის კვლევის სამეცნიერო კვლევები ყოველთვის მიმართული იყო რეგიონული პრობლემებისადმი. მის მიერ პირველად გაკეთებულია ბუნებრივ-ისტორიული, სოციალური-ეკონომიკური, ეკოლოგიური და ბიომრავალფეროვნებით ყველაზე რთული რეგიონის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტყის ეკოსისტემების თანამედროვე მდგომარეობის კომპლექსური შეფასება; დამუშავებულია ანთროპოგენური ზემოქმედების გავლენით ტყის განახლების პროცესის მიმდინარეობა, გამოვლენილია რეგიონის მცენარეულობის ბიოლოგიური რესურსები, საკვების, სამკურნალო და სხვა სასარგებლო გენეტიკური და ინტროდუქცირებული მცენარეული რესურსები, როგორც სარეზერვო ფონდი.

აკად. ვანო პაპუნიძის მიერ პირველად იქნა გამოყოფილი იშვიათი და გადაშენების პირას მისული მერქნიანი მცენარეები; დაადგინა ამ პროცესების გამომწვევი მიზეზები; მეცნიერულად შეისწავლა და დაამუშავა წარსულში ადამიანის სამეურნეო მოქმედების შედეგად სუბალპური ტყეების, ასევე, მთის დეგრადირებული კორომების აღდგენის ტექნოლოგიები და სხვ.

**აკად. ვანო პაპუნიძე არის დიდი დიაპაზონის საზოგადო მოღვაწე, რომელმაც თავისი შემოქმედებით, ქცევით, ნიჭით და უნარით გაითქვა სახელი საქართველოს ფარგლებს გარეთაც.** მას კარგად იცნობენ ბულგარეთში, პოლონეთში, უნგრეთში, თურქეთში, რუსეთში, გერმანიაში, აშშ-ში, ირანში და ბევრ სხვა ქვეყანაში; გამოქვეყნებული აქვს 200-ზე მეტი ნაშრომი.

აკად. ვანო პაპუნიძის შემოქმედებაში განსაკუთრებით აღსანიშნავია პედაგოგიური და აღმზრდელობითი მოღვაწეობა. 1974 წლიდან 1992 წლამდე ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში; ბათუმის (მწვანე კონცხი) სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში; ბათუმის სამედიცინო ეკოლოგიურ ინსტიტუტში; ბათუმის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში; 1992 წლიდანდღემდე შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის პროფესორის თანამდებობაზეა.

2009 წლიდან აკად. ვანო პაპუნიძე ხელმძღვანელობს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონულ სამეცნიერო ცენტრს. მას მინიჭებული აქვს საქართველოს დამსახურებული მეტყევის საპატიო წოდება; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გამოჩენილ მეცნიერთა სახელობითი აკადემიური პრემია მეტყევეობის დარგში თვალსაჩინო თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის მეცნიერულ ნაშრომთა ციკლისთვის აკად. ვანო პაპუნიძეს მიენიჭა აკადემიკოს გიორგი გიგაურის სახელობითი პრემია; არჩეულია აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის და სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად, აკადემიკოსად, იუნესკოს პროგრამა – „ადამიანი და ბიოსფეროს“ საქართველოს ეროვნული კომიტეტის წევრად, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის „მეტყევეობის პრობლემების“ საბჭოს წევრად, საქართველოს ბოტანიკური საზოგადოების წევრად და საზოგადოების აჭარის განყოფილების ხელმძღვანელად; არის საქართველოს ბოტანიკური ბაღების და პარკების ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი და სხვა კომისიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წევრი;

დაჯილდოებულია საქართველოს ღირსების ორდენით, საქართველოს საპატრიარქოს, აფხაზეთის არ უმაღლესი საბჭოს, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის და აჭარის განათლების, კულტურის და სპორტის სამინისტროს სიგელებით, მიღებული აქვს ათეულობით სერთიფიკატი; შეტანილია წიგნში – „XXI საუკუნის მსოფლიოს 2000 გამოჩენილი ინტელექტუალისტი“ (საერთაშორისო ბიოგრაფიული ცენტრი, კემბრიჯი, ლონდონი); მინიჭებული აქვს საპატიო ბათუმელის და ქედის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდება.

აკად. ვანო პაპუნიძისათვის დამახასიათებელია პიროვნული მაღალი კულტურა, საქმისადმი უსაზღვრო სიყვარული, შემოქმედებითი შრომა, ობიექტურობა და მაღალი ზნეობრივი თვისებები, პასუხისმგებლობა, უნიკალური ცხოვრებისეული გამოცდილება და პროფესიონალიზმი, არის პრინციპული, საინტერესო მოსაუბრე და კომუნიკაბელური, უაღრესად დახვეწილი და ტაქტიანი ადამიანებთან ურთიერთობაში. იგი შესანიშნავი მეოჯახე, მამა, ბაბუა და მეუღლეა.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია აკადემიკოს ვანო პაპუნიძეს გულითადად ულოცავს ამ იუბილეს, უსურვებს ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და შემდგომ წარმატებებს.**

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

---

იყო დრო, როცა საქართველოში მოქმედი ელჩები კრიმინალურ გარჩევებშიც მონაწილეობდნენ. ყველას ახსოვს აშშ-ის ყოფილი ელჩი კელი დეგნანი, რომელიც თავისი ახლობლების სასარგებლოდ ბიზნეს „რაზბორკებში“ მონაწილეობდა, აღარაფერს ვამბობთ მის მჭიდრო კონტაქტებზე ქართველ რადიკალებთან.

**დაინტერესდება თუ არა ტრამპი აშშ-ის საელჩოს ქმედებებით სხვადასხვა ქვეყნებში, მათ შორის, საქართველოში?**

* * *

**ანალიტიკოსი ედიშერ გვენეტაძე** for.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ აშშ-ის საელჩომ ბევრი რამ გააფუჭა საქართველოში და ეს შემთხვევითი პროცესი არ ყოფილა. წინა ელჩი კელი დეგნანი, სანამ ტრამპის ადმინისტრაცია იყო, მშვენივრად მუშაობდა და საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგოდ არ მოქმედებდა, მაგრამ როგორც კი აშშ-ში შეიცვალა ხელისუფლება და მოვიდა ბაიდენის ლიბერალურ-ფაშისტური რეჟიმი, კელი დეგნანის რიტორიკაც შეიცვალა, განსაკუთრებით, ბოლო ხანებში. დეგნანი თვითონ არაფერს გააკეთებდა, მითითებები რომ არ ჰქონოდა ვაშინგტონიდან. ზოგადად, ელჩები თავისით არაფერს აკეთებენ, მათ უნდა ჰქონდეთ მითითებები ცენტრიდან.



**„ახლანდელი ელჩი – დანიგანიც არ ჩამორჩება წინამორბედს. ბაიდენის ადმინისტრაცია რომ არ დამარცხებულიყო, დეგნანზე უარესი იქნებოდა ელჩი დანიგანი. საბედნიეროდ, გაიმარჯვა ტრამპმა. ამის გამო ნამეტანი ეიფორიაში ნუ ჩავცვივდებით, ვინაიდან ტრამპი ატარებდა და ატარებს ამერიკის სახელმწიფოს ინტერესებს. არავითარ შემთხვევაში, ტრამპი ამერიკის ინტერესებს არ უღალატებს, მაგრამ უნდა გამოვიყენოთ ის პერიოდი, როდესაც მიმდინარეობს „დიფ სთეითთან“, „იუსაიდთან“, „ნედთან“ ბრძოლა. მართალს ბრძანებთ, აშშ-ის საელჩოს მხილება ჩვენი პრემიერის მხრიდან ერთგვარი უვერტიურა ხომ არ არის, რომ ტრამპმა დაიწყოს შეტევა ცალკეულ საელჩოებში გაბატონებულ „დიფ სთეითებზე“, მე ამას არ გამოვრიცხავ, რადგან საქართველოდან დაიწყო ყველაფერი, მათ შორის, ლგბტ-ეების საწინააღმდეგო კანონის მიღება. იმ დროს ამერიკის საელჩო და მთელი დასავლეთი როგორ გვეწინააღმდეგებოდა, როგორ თუ ამ კანონს იღებთო. გამჭვირვალეობის კანონს ახსენებს ახლა ვინმე? პირიქით, აშშ-ის ადმინისტრაცია უტევს იმ ორგანიზაციას, რომელიც აფინანსებდა და რევოლუციურ სცენარებს ქმნიდა ამა თუ იმ ქვეყანაში. თვითონ გამოსცა ტრამპმა ამის შესახებ ბრძანებულება, ჩვენთან კი კარგა ხნით ადრე, 2023 წლიდან დაიწყო ეს პროცესი, როდესაც მარტის თვეში რუსთაველი გადააქციეს ბრძოლის ასპარეზად და ამაში უდიდესი როლი მიუძღვის აშშ-ის საელჩოს და თავად ამერიკას. გახსოვთ, ალბათ, ზურაბიშვილი რომ ჩაიყვანეს ამერიკაში, დააყენეს თავისუფლების ქანდაკების ფონზე და იქიდან აძახებინეს, მოკალით, ცოცხლად დაწვით პოლიციელებიო“,** – აცხადებს ედიშერ გვენეტაძე.

მისივე მოსაზრებით, ამჟამად გატრუნულია აშშ-ის საელჩო, რადგან გაურკვევლობაშია, მათ იციან, რომ ტრამპის ადმინისტრაციიდან წამოსული ტალღა მათაც მისწვდება და აშშ-ის საელჩოში გაბატონებულ ე.წ. საელჩო ბიუროკრატიას, რომელიც აუცილებლად უნდა წაილეკოს. ჩვენ ვნახეთ, რამდენი ადამიანი გათავისუფლდა უცბად „იუსაიდიდან“, რამდენი ტრანსგენდერი თავისუფლდება ჯარიდან,

გაგრძელება მე-6 გვ.

# პრემიერის ეს ინტერვიუ ნათლად მეტყველებს, იმ უბრალო ჭეშმარიტებაზე, რომ „ქართული ოცნების“ საგარეო პოლიტიკა პრინციპული და სამართლიანია!

## ირაკლი კობახიძე: ჩვენ მტკიცედ ვდგავართ ევროინტეგრაციის გზაზე, გამოვიჩენთ მოთმინებას, დაველოდებით ევროკავშირის გადაწყვეტილებებს და თანმიმდევრულად შევასრულებთ ყველა ვალდებულებას, რომელიც ეხება ჩვენი ევროინტეგრაციის დაჩქარებას



**„ჩვენ გვაქვს ძალიან მტკიცე საგარეო-პოლიტიკური პრიორიტეტი – ევროკავშირის სრულფასოვანი წევრობა,“ – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ „ევრონიუსთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში განაცხადა.**

მთავრობის მეთაური აღნიშნავს, რომ ევროპულ ბიუროკრატიასთან დაკავშირებული გამოწვევების მიუხედავად, საქართველოს გაწევრიანება ევროკავშირში 2030 წლისთვის შესრულებადი ამოცანაა.

„დღეს ჩვენ ვდგავართ ევროპულ ბიუროკრატიასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე და მაინც, ძალიან ოპტიმისტურად ვართ განწყობილნი იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანება 2030 წლისთვის შესრულებადი ამოცანაა. ეს არის ჩვენი შუალედური მიზანი და ჩვენ თანმიმდევრულად მივყვებით ამ მიზნისკენ მიმავალ გზას. ვიმედოვნებ, რომ მომდევნო წლებში საქართველოს მიმართ მიდგომა უფრო სამართლიანი იქნება. ჩვენ კი ძალ-ღონეს არ დავიშურებთ ევროპისკენ მიმავალ გზაზე წინსვლისთვის“, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

მისივე თქმით, საქართველოს მთავრობა დაინტერესებულია ევროკავშირთან ჯანსაღი ურთიერთობით და თუ ევროპული ბიუროკრატიული პოლიტიკა საქართველოს მიმართ შეიცვლება, ყველაფერი გამოსწორდება.

„ჩვენ დაინტერესებულნი ვართ ევროკავშირთან ჯანსაღი ურთიერთობებით, რასაც ამ ეტაპზე ვერ ვხედავთ, მაგრამ ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ამის მიზეზია არა საქართველოს პოლიტიკა, არამედ ევროპული ბიუროკრატიული პოლიტიკა საქართველოს მიმართ. ასე რომ, თუკი ეს პოლიტიკა შეიცვლება, ყველაფერი გამოსწორდება. ჩვენ მტკიცედ ვდგავართ ევროინტეგრაციის გზაზე. მზად ვართ, თანმიმდევრულად შევასრულოთ ყველა ვალდებულება ასოცირების დღის წესრიგის, DCFTA-ის ფარგლებში. აქ საუბარია ძალიან მკაფიო დღის წესრიგზე. ჩვენ გამოვიჩენთ მოთმინებას, დაველოდებით ევროკავშირის გადაწყვეტილებებს საქართველოს ევროპულ ინტეგრაციასთან დაკავშირებით. ასე, რომ ჩვენ უნდა ვიქონიოთ მოთმინება. ამავე დროს, ჩვენ თანმიმდევრულად შევასრულებთ ყველა ვალდებულებას, რომლებიც ეხება ჩვენი ევროინტეგრაციის დაჩქარებას“...

* * *

**ჟურნალისტის** კითხვას, აპირებს თუ არა საქართველო ოკუპირებული რეგიონების დაბრუნებას, მთავრობის მეთაურმა უპასუხა, რომ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ მშვიდობიანი გზით და ამას ალტერნატივა არ აქვს.

ჩვენი ტერიტორიული მთლიანობა აღიარებულია საერთაშორისო საზოგადოების მიერ და, რასაკვირველია, ამ მხრივ ჩვენ უნდა დავიცვათ ჩვენი ეროვნული ინტერესები, თუმცა ჩვენი ხედვა მტკიცედ მშვიდობიანია. ჩვენ არაერთხელ გვითქვამს, რომ ამ საკითხის არამშვიდობიანი გადაჭრა აბსოლუტურად შეუძლებელია. ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ მშვიდობიანი გზით და ამას არ აქვს ალტერნატივა. გამოვთქვამთ იმედს, რომ გარკვეულ ეტაპზე ამ ხედვის განხორციელება რეალისტური გახდება. დრო გვიჩვენებს.

**რუსეთთან ურთიერთობებისა და საქართველოში რუსეთის საელჩოს შესაძლო გახსნის შესახებ ჟურნალისტის კითხვის საპასუხოდ პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობა რუსეთთან მიმართებით პრაგმატულ პოლიტიკას ახორციელებს და რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარების გამო, ახლა დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის დრო არ არის.**

ჩვენ არ გვაქვს დიპლომატიური ურთიერთობები რუსეთთან და ჩვენი ორი ისტორიული რეგიონის ოკუპაციის გათვალისწინებით, ასევე აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ე.წ დამოუკიდებლობის აღიარების გამო, ახლა არც არის დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის დრო. ჩვენ ვატარებთ პრაგმატულ პოლიტიკას და სწორედ ამაში მდგომარეობს რუსეთის მიმართ ჩვენი პოლიტიკის დედააზრი. ჩვენ ვინარჩუნებთ სავაჭრო და ეკონომიკურ ურთიერთობებს რუსეთთან და სწორედ ამ გზით გაგრძელდება ჩვენი პრაგმატული პოლიტიკა რუსეთის ფედერაციის მიმართ.

ჩვენთვის არ იყო მარტივი, რომ არ გადავქცეულიყავით მეორე ფრონტის ხაზად, რადგან დიდი ინტერესი და მოთხოვნა არსებობდა ამ მიმართულებით,” – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ „ევრონიუსთან” ექსკლუზიურ ინტერვიუში განაცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, 90-იანი წლების დასაწყისიდან საქართველომ ბევრი განსაცდელი გამოიარა და სწორედ ეს იყო იმის მთავარი მიზეზი, რის გამოც ამდენს იბრძოდა ხელისუფლება ქვეყანაში კიდევ ერთი ომის თავიდან ასაცილებლად.

რუსეთ-უკრაინის სამშვიდობო შეთანხმებასთან დაკავშირებით ჟურნალისტის კითხვას პრემიერ-მინისტრმა უპასუხა, რომ მას ალტერნატივა არ გააჩნია.

**ჩვენ შეგვიძლია, გავხდეთ ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი ჩვენი მთავარი ეროვნული ინტერესების მსხვერპლად გაღების გარეშე!**

ჩვენ შეგვიძლია, გავხდეთ ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი ჩვენი მთავარი ეროვნული ინტერესების მსხვერპლად გაღების გარეშე!

**ჟურნალისტის კითხვას, ხედავს თუ არა საქართველოს მომავალს სრულად ინტეგრირებულს დასავლური უსაფრთხოებისა და ეკონომიკურ სისტემაში, თუნდაც ეს რუსეთთან ურთიერთობის გაუარესებას ნიშნავდეს, მთავრობის მეთაურმა უპასუხა, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკის ორიენტირები აბსოლუტურად ნათელია.**

რაც შეეხება ჩრდილოატლანტიკურ ინტეგრაციას, ამ ეტაპზე ეს საკითხი არ არის დღის წესრიგში დასავლეთის ქვეყნების გადაწყვეტილებების, მიდგომების და ჩვენს ირგვლივ შექმნილი საერთო კონტექსტის გამო. თუმცა, ევროპული ინტეგრაცია ჩვენი საგარეო პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტია. რა თქმა უნდა, ნებისმიერი ნაბიჯის გადადგმაზე მისი ყველა გვერდითი ეფექტი უნდა იყოს გათვალისწინებული. მაგალითად, რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ სანქციებთან არმიერთების გადაწყვეტილება მივიღეთ, თუმცა დახურულ კარს მიღმა და ხანდახან საჯაროდაც გვთხოვდნენ ამას დასავლეთიდან.

ჩვენი გადაწყვეტილება ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს და ძალიან მარტივ ჭეშმარიტებას ეფუძნებოდა: რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ სანქციების შემოღება საქართველოს ეკონომიკას ძალიან დიდ პრობლემებს შეუქმნიდა. პირველივე წელს 10-პროცენტიანი ეკონომიკური ვარდნა გვექნებოდა, ხოლო პესიმისტური სცენარით რეცესია მინუს 18 პროცენტიც შეიძლება ყოფილიყო. ამიტომ, გადაწყვეტილებები ყოველთვის დაბალანსებული უნდა იყოს. საბოლოო ჯამში, ჩვენ მაინც შეგვიძლია, გავხდეთ ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი ჩვენი მთავარი ეროვნული ინტერესების მსხვერპლად გაღების გარეშე.

* * *

**ქართველი** ხალხი ოპტიმისტურად აღიქვამს მოვლენებს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გვესმის ბოლოდროინდელი განცხადებები, მათ შორის აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს შესახებ. ამ პრობლემებზე 2021 წლიდან ვსაუბრობთ. საკანონმდებლო ინიციატივაც გვქონდა გამჭვირვალობის შესახებ, რომელსაც აშშ-ის საელჩო მწარედ აკრიტიკებდა წინა ადმინისტრაციის დროს. კანონი მხოლოდ გამჭვირვალობას ითხოვდა – არასამთავრობო ორგანიზაციებს ავალდებულებდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროსადმი წლიური ფინანსური ანგარიშების წარდგენას. აი, ამაზე განაცხადა აშშ-ის საელჩომ წინა ადმინისტრაციის დროს, რომ –

### საქართველოს შავი დღე გაუთენდა ამ კანონის დამტკიცებით.

ძალიან გვახარებს ის ფაქტი, რომ ჩვენი გზავნილები ახალი ადმინისტრაციისას ემთხვევა და იდენტურია. რა თქმა უნდა, ეს ამბები ძალიან ოპტიმისტურად განგვაწყობს შეერთებულ შტატებთან პარტნიორობის აღდგენის მიმართ. წინა ადმინისტრაციამ შეაჩერა სტრატეგიული პარტნიორობა საქართველოსთან. ჩვენ ძალიან მკაფიოდ განვაცხადეთ, რომ საქართველო მზადაა, აღადგინოს სტრატეგიული პარტნიორობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან...

**7 თებერვალი, 2025.**



# ნუ დამიწყებთ მორალის კითხვას!




●

ეს კადრები ერთ-ერთ ფეისბუქ-მეგობარს ედო სოციალურ ქსელში და წამოღება გადავწყვიტე თავისივე მინაწერით.

მართლა არ ვიცი, ეს „ოკმელა“ ვინაა და არც ის ვიცი, ქართველი თეატრალების „დოი-კოტი“ როგორ და რანაირად გრძელდება, მაგრამ უნდა ითქვას: ქართულ პოლიციაზე მოძალადე ნებისმიერმა პირმა პასუხი უნდა აგოს კანონის წინაშე!

ნებისმიერმა!

კანონით!

●

გაყიდული ტელევიზიის ჟურნალისტად მომუშავე ეკა მიშველაძე აცხადებდა ეთერში – „ასლარიანებს“ ეძახდნენ პოლიციელები მშვიდობიან მომიტინგეებს და ეს როგორ შეიძლებაო...

სამწუხაროდ, მართალს ამბობს მოქალაქე მიშველაძე.

ეგენი ასლარიანები არ არიან და ტყუილს მოკლე ფეხები აქვს.

●

მაგალითად, ეკა გიგაურისა და ლიაკა ხოშტარიას კანტორები ასიათასობით ლარს იღებენ სახელმწიფოს გადატრიალების მცდელობაში და ასი ლარი რა მოსატანია?!

●

გუბაზ სანიკიძე დაგავიწყდათ?

აკი, ირაკლი ღარიბაშვილმა საჯაროდ, საპარლამენტო ტრიბუნიდან მიახალა სიმართლე – ასიათას დოლარად გაყიდული მოღალატე ნაძირალა ხარო...

●

ან, თემურ ალასანია არ გახსოვთ?

მილიონს იხდიდა „ვინტოვკიან“ სნაიპერში!

●

ეეეჰჰჰ... ესენი რომ „კუშებს“ ეთამაშებიან, ჩვენ რას მოვალთ მათთან.

ასლარიანიო...

თუ, როგორ გგონიათ, გიგი უგულავა ასი ლარის იმედად დადის აქციებზე და ას ლარად ამუნათებს ბიძინა ივანიშვილს – კადაფის ბედი სანატრელი გექნებაო?!

●

არადა, მართლა ჩვენი ბრალია...

რაც სააკაშვილის, მერაბიშვილის, გივია თარგამაძის, ბოკერიას, გვარამიას, უგულავას და კეზერაშვილის რეჟიმმა ჩაიდინა ქართველი ერის წინაშე – კადაფის, ჩაუშესკუსა და მუსოლინის ბედი ზედგამოჭრილი იყო მათთვის!

მაგრამ, ჩვენ ხომ მიმტევებელი ხალხი ვართ?!

ჰოდა, აი, შედეგიც...

„ობოლო, ვის მოკლავ და – გამზრდელსო“ – ასეა ჩვენი საქმეც.

●

ან, „ასლარიანებს“ ეძახდნენო, მოთქვამს მოქალაქე მიშველაძე და იმეორებენ სხვა მოქალაქე „საშველაძეები“...

სკაბრეზი მე მაპატიე, ძვირფასო მკითხველო, მაგრამ შეხსენება და გამეორება აუცილებელია და დამჭირდა ამ სიბინძურეების გამოყენება ტექსტში: „ყ*ეებო“, „თქვენს დედებს შევე*ით„, „ნაბო*ვრებო“, „ მონებო“, „ნაბი*ვრებო“...

ეს იმ მიმართვათა უმცირესი ჩამონათვალია, რასაც ე.წ. მშვიდობიანი მომიტინგეები ხმარობენ განსხვავებული აზრის მქონე მოქალაქეებისა და განსაკუთრებით, პოლიციელთა მისამართით.

ხან ლექსად და ხანაც – სიმღერით.

ალბათ, მოქალაქე მიშველაძესაც და სხვა მოქალაქეებსაც – „საშველაძეებსაც“ და „ნაშველაძეებსაც“ ყურები აქვთ დახშული და არ ესმით მსგავსი სიბილწეები.

ან, იმდენად აქვთ ყური შეჩვეული მსგავსს, რომ იავნანად ჩაესმით „ყ*ის“ და „ნაბი*ვრის“ ძახილი და აღარა აქვთ რეაქცია...

რას ვიზამთ, – როგორც ერთ ძველებურ ნათქვამშია - „კალოში მათია და სადაც უნდათ, იქ დადებენ...“



## P.S.

ბევრი მეკითხება და აქ დავწერ ბარემ.

დიახ, როგორც ამბობენ, მზია ამაღლობელი ჟურნალისტია.

ყოველ შემთხვევაში, მას ასე მოიხსენიებენ დღეს.

დიახ, მან ხელი დაარტყა პოლიციის მაღალჩინოსანს ირაკლი დგებუაძეს.

და ამას არათუ უარყოფენ, – ამაყობენ კიდეც ამით.

დიახ, ძალიან ცუდია ნებისმიერი მოქალაქის ნახვა გისოსებს მიღმა...

მით უფრო – ჟურნალისტის.

მით უფრო – მანდილოსნის.

მით უფრო – დედის.

მით უფრო...

და ბევრი „მითუფრო“ შეიძლება გაჩნდეს, მაგრამ ვთქვათ ერთმნიშვნელოვნად: კანონი კრძალავს და სჯის პოლიციელზე მოძალადეს!

კანონი სჯის, ზოგადად, მოძალადეს!

●

ერთიცაა: სვავები დღესაც ერთადერთი სურვილით არიან აღვსილნი – რამე დაემართოს მზია ამაღლობელს.

●

ჯანმრთელად ამყოფოს ღმერთმა ისევ საკუთარი „კეთილისმსურველებისგან“ სასიკვდილოდ გამეტებული ამაღლობელი!

●

ისე, აღიარებასაც არაფერი უდგას წინ.

ჩემმა კოლეგამ და მეგობარმა ბონდო მძინარაშვილმა დაწერა და გავმეორდები: გმირად შერაცხილმა ვაჟა ექიმმა სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ რეჟიმს სთხოვა შეწყალება, ბოდიშები იხადა და გამოუშვეს კიდეც.

რა აჩემებაა – საკუთარ ქვეყანასთან რომ აღიარო თუნდაც შეგნებულად და გნებავთ, უნებლიეთ დაშვებული დანაშაული(!) და კრიჭაში არ ჩაუდგე საკუთარ ხალხს...

რა კარგადაა ნათქვამი ლაშა თაბუკაშვილის სპექტაკლში „მერე რა, რომ სველია, სველი იასამანი“ – „საკუთარ ერს არ ებუტებიან!“

ჰოდა, ნუ გაებუტებით საკუთარ ხალხსა და სამშობლოს, თუ, ვინმე როთის დაფინანსებულთა მსგავსად, თქვენც უსამშობლოთა რიცხვს არ მიეკუთვნებით...

●

ჩემი კოლეგა და მეგობარი ზაზა დავითაია წერდა და მეც ვეთანხმები – სხვათა შორის, მსგავსი აღშფოთება უკანასკნელი ოცდაშვიდი წლის განმავლობაში ირაკლი დოკვაძის პატიმრობის გამო არ გამოუხატავთ „პატრიოტებს“...

არშემდგარი ტერაქტის გამო, შეკრებითობის პრინციპით, რისთვისაც ზვიად გამსახურდიაც გაასამართლეს წლების წინ, პატიმრობას იხდის, აგერ უკვე, ოცდაშვიდი წელია, ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი.

დოკვაძეზე ვინმეს ხმა ამოგიღიათ როდესმე?

●

დედაა, მანდილოსანია და პროფესორიც კია გიული ალასანიაც და კი შერჩა ხახვივით აგვისტოს ომის დღეებში ლარად ნაყიდი „გეპეის“ კორპუსებიც!

ვაპატიოთ?

●

ალეკო ელისაშვილსაც ეპატია მდინარაძეზე და ბაბაევზე თავდასხმა და გავხდეთ უფრო ტოლერანტულები და მიმტევებლები და დედაც სტირებია ამ ქვეყანას?

ეს მოგწონთ?

მე არ მომწონს!

●

ჟურნალისტი ვიყავი 1992-შიც, 2003-შიც, 2007-შიც, 2008-შიც და 2011-შიც, დარბეულიც ვიყავი, გამომცემლობა „სამშობლოდან“ გამოდევნილიც, 2011 წლის 26 მაისს 37 რეზინის ტყვიით დაცხრილულიც და ნათრევნაცემიც, მაგრამ ინდულგენცია არავის მოუნიჭებია ჩემი პროფესიის გამო!

სხვათაშორის, სმენას და მხედველობას არ ვუჩივი და არც „რეჟიმებთან“ მებრძოლი ამაღლობლის ხმა არ მსმენია და პროტესტი არ დამინახავს მაშინ!

●

ესაა მწარე სიმართლე და ნუ გამოხვალთ ახლა რომის პაპზე მეტი კათოლიკენი და ნუ დამიწყებთ მორალის კითხვას.

პასუხი არის მარტივი: კანონი უნდა კანონობდეს!

აღარ მოხდება ამ ქვეყანაში „გიგილუციები“ და რევოლუციები!

გააგრძელეთ თქვენი „დოი-კოტი“ და ფრთხილად, ყურებზე ხახვი არ დააჭრათ ვინმეს!

პოლიციელებზე მოძალადე ლაზარე გრიგორიადისი ჩაუყენეთ აქციებს სათავეში – უფრო „ომახიანად“ ისვრის ტ*აკში!

●

და გილოცავთ – გიორგი სანაიას და ზურაბ ჟვანიას მკვლელობის დამკვეთობაში მავანთა მიმართ ბრალმდებლები და ბრალდებულად წოდებულნიც ერთ ნავში სხედხართ ახლა და არ დანებდეთ – მსგავსი ერთობა გაფრთიანებთ...

## ცოტა რამ თეთრი სახლის პრესსპიკერის შესახებ!

თეთრი სახლის ახალი პრესსპიკერი, როგორც მოსალოდნელი იყო, მისი წინამორბედის - კარინ ჟან-პიერის (ლესბოსელი აფროამერიკელის) სრული ანტიპოდია. კარინ ჟან-პიერამდე ამ თანამდებობას ფენომენალური უვიცობით განთქმული ჯენ ფსაკი იკავებდა. კაროლინა ლივიტი 27 წლისაა და იგი ყველაზე ახალგაზრდაა მათ შორის, ვისაც კი ოდესმე ეს პოსტი ჰქონდა დაკავებული. ლივიტი თეთრკანიანი, კათოლიკე ჰეტეროსექსუალია, გათხოვილია და შვილი ჰყავს. მან თავის პირველ პრესკონფერენციაზე თეთრი სახლის ჟურნალისტებთან თანამშრომლობის ახალი პრინციპების შესახებ განაცხადა. „ტრამპის თეთრი სახლი ითანამშრომლებს ყველა მედიასაშუალებასთან თუ პოპულარულ ბლოგერებთან და არა ტრადიციულ გამოცემებთან, რომლებიც, ჩვეულებრივ ამ დარბაზში სხედან ხოლმე". იგი **GELLAP**-ის გამოკითხვას დაეყრდნო, რომლის თანახმადაც ამერიკელების უმრავლესობა ტრადიციულ მედიას არ ენდობა.

„მილიონობით ამერიკელი, განსაკუთრებით ახალგაზრდები, აღარ უყურებენ ტელევიზორს და არ კითხულობენ გაზეთებს. ისინი ინფორმაციის მიღებას პოდკასტებიდან, ბლოგებიდან, სოციალური მედიიდან და სხვა დამოუკიდებელი წყაროებიდან არჩევენ. ჩვენი გუნდისთვის მნიშვნელოვანია, პრეზიდენტ ტრამპის გზავნილი ყველამდე მივიდეს და თეთრი სახლი 2025 წლის ახალ მედია გარემოს მოერგოს.

**USAID**-ის ფაქტობრივ დახურვას მალევე მოჰყვა ლივიტის განცხადება, რომ თეთრი სახლი აუქმებს ხელმოწერას გამოცემა **Politico**-ზე, რაზეც 8 მილიონი დოლარი იხარჯებოდა. ლივიტმა თქვა, რომ **Politico**-მ და **Associated Press**-მა წლების განმავლობაში მილიონობით დოლარი მიიღეს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსგან (**USAID**), რომლის თანამშრომლები პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა და ილონ მასკმა ახლახანს, გაათავისუფლეს. სინამდვილეში, გადახდები წარმოადგენდა ფედერალური მთავრობის საინფორმაციო სააგენტოების სერვისებზე გამოწერის მთელ ღირებულებას. **USASpending.gov**-ის თანახმად, ყველა ფედერალურმა სააგენტომ ერთად გასულ წელს 8,2 მილიონი დოლარი დახარჯა **Politico Pro**-ზე.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ტრამპის ადმინისტრაციამ აურზაური გამოიწვია ფედერალური თანამშრომლების მიერ მედიის გამოწერის გამო. 2019 წელს, პრეზიდენტობის პირველ ვადაში ტრამპის ადმინისტრაციამ მოუწოდა ყველა ფედერალურ სააგენტოს, შეეწყვიტათ **The Washington Post**-ისა და **The New York Times**-ის გამოწერა მას შემდეგ, რაც თეთრმა სახლმა გამოაცხადა, რომ „წყვეტს" გამოწერას გაზეთებზე.

ცნობისთვის, 3 თებერვალს ამერიკელმა მეწარმემ და ახალდანიშნულმა მთავრობის ეფექტურობის დეპარტამენტის (**DOGE**) ხელმძღვანელმა ილონ მასკმა შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (**USAID**) კრიმინალური ორგანიზაცია უწოდა და მისი ანგარიში **X** სოციალური ქსელიდან წაშალა.





არსებობს ერთადერთი სწორი პასუხი: **ილია ჭავჭავაძე მოკლეს 1907 წლის 30 აგვისტოს (ზაფხულში) და დაკრძალეს 1907 წლის 9 სექტემბერს (შემოდგომაზე)!** ისტორიული ფაქტია: **დავით მეფე 1125 წლის 24 იანვარს მიიცვალა. დიახ – იანვარში, იანვარში და არამც და არამც თებერვალში!**

პასუხი ერთადერთია: **თბილისის უნივერსიტეტი 1918 წლის 26 იანვარს დაარსდა!**

ლაშა ნადარეიშვილი

ერთადერთი

# როდის მოკლეს ილია ჭავჭავაძე და როდის დაარსდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი?

## 1918 წელს, ხეში წყლის ჩადგომამდე, თუ ხეში წყლის ჩადგომის შემდეგ?

**ძველი და ახალი სტილების საბედისწერო 13-დღიანმა აცდენამ ჩვენს ყოველდღიურობაში აურაცხელი პარადოქსი შვა:**

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია (ამჟამად ოქტომბრის გადატრიალება. ავტ.), მართალია, ოქტომბერში მოხდა, მაგრამ ნოემბერში აღნიშნავდნენ და ბავშვებს ლექსად გამოთქმულ გაუგონარ სისულელესაც აზეპირებინებდნენ: **„ოქტომბრის დილა გათენდა, დღეს შვიდი ნოემბერია!“**

უფრო მეტიც, **ილია ჭავჭავაძის მკვლელობის დღე – 1907 წლის 30 აგვისტო ახალი სტილით 1907 წლის 12 სექტემბრად გადაკეთდა** და კითხვაზე – **ილია ზაფხულში მოკლეს თუ შემოდგომაზე?** – ბავშვს არასწორი და ფრიად აბსურდული პასუხი უნდა გაეცა, რომლის მიხედვითაც ილია შემოდგომაზე მოკლულად იქნებოდა გამოცხადებული! არადა, **ზაფხულის ბოლოსწინა დღეს, 30 აგვისტოს, წიწამურთან მომხდარ ტრაგედიას მეორე დღესვე, 1907 წლის 31 აგვისტოს, ანუ ზაფხულის ბოლო დღეს, გაზეთი „ისარი“ გამოეხმაურა: „საგურამოს გზაზე მოუკლავთ ილია ჭავჭავაძე და დაუჭრიათ მისი მეუღლე“...**

დიახ! ეს ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც ილია ჭავჭავაძე სწორედაც რომ ზაფხულში მოკლეს და არა შემოდგომაზე (როგორც ეს უამრავ საცნობარო ლიტერატურაშია მითითებული, ერთადერთი უტყუარი დოკუმენტია რეალური სურათისა და განწყობის გადმოსაცემად, რომელიც იმ კონკრეტულ დღეს ავბედით 30 აგვისტოს **(და არა 12 სექტემბერს!)** სუფევდა. **1907 წლის 12 სექტემბერს, ანუ უკვე შემოდგომაზე, ილია ჭავჭავაძე უკვე სამი დღის დასაფლავებული იყო მთაწმინდაზე!**

ამდენად, კითხვაზე – ილია ჭავჭავაძე ზაფხულში მოკლეს თუ შემოდგომაზე? **– არსებობს ერთადერთი სწორი პასუხი: ილია ჭავჭავაძე მოკლეს 1907 წლის 30 აგვისტოს (ზაფხულში) და დაკრძალეს 1907 წლის 9 სექტემბერს (შემოდგომაზე),** ხოლო ილიას მკვლელობის თარიღად 1907 წლის 12 სექტემბრის გამოცხადება მეკალენდრე-მწიგნობართა საყოველთაო ინერციის ნაყოფია.

ამავე ლოგიკით, სრულიად გაუმართლებლად მიგვაჩნია **თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის,** იგივე **„თბილისის ქართული უნივერსიტეტის“** დაარსების თარიღად **1918 წლის 8 თებერვლის** გამოცხადება, რადგან სინამდვილეში ცნობა ამ ფრიად ღირსსახსოვარი თარიღის შესახებ **1918 წლის 26 იანვრის** პრესაშია დაბეჭდილი. მართალია, 26 იანვარი ახალი სტილით 8 თებერვალია, მაგრამ **რეალურად ეს ამბავი იანვარში მოხდა და არავითარ შემთხვევაში – თებერვალში,** როცა იგივე ძველი და ახალი სტილების აღრევის შედეგად ავტომატურად იქნა გადმოკალენდრებული დავით აღმაშენებლის ხსოვნის დღეც! **არადა, ისტორიული ფაქტია: დავით მეფე 1125 წლის 24 იანვარს**



მიიცვალა. დიახ – იანვარში, იანვარში და არამც და არამც თებერვალში!

წინამდებარე წერილში ჩვენ შეგნებულად არ ვამახვილებთ ყურადღებას იულიუსის კალენდრის გრიგორიანული კალენდრით ჩანაცვლების ასპექტებზე ჯერ კიდევ **1582 წელს რომის პაპ გრიგოლ XII-ის** მიერ, არც ასტრონომიული აუცილებლობით გამოწვეული რეფორმის ნიუანსებს განვიხილავთ, არც **ლენინის** მიერ **1918 წლის 26 იანვარს** ხელმოწერილ დეკრეტს გამოვედევნებით, რომლის მიხედვითაც **1918 წლის 14 თებერვლიდან** რუსეთის ფედერაცია დასავლეთ-ევროპულ კალენდარზე გადავიდა და ამ დღიდან ყველა დოკუმენტი თუ მოვლენა, რომელიც 1918 წლის 1 თებერვლამდე პერიოდს ეხება, იულიუსის კალენდრით („ძველი სტილი“) თარიღდება, ხოლო 1918 წლის 1 თებერვლიდან – გრიგორიანული კალენდრით („ახალი სტილი“).

იმ ფაქტმა, რომ ე.წ. ლენინური დეკრეტის მიღებისას, იულიუსისა და გრიგორიანული კალენდრების სხვაობა 13 დღეს შეადგენდა, განაპირობა ფრიად სახამუშო და ძნელად აღსაქმელი რეალობა: **1918 წლის 31 იანვრის შემდეგ 1 თებერვლის ნაცვლად, მოსახლეობას ერთბაშად 14 თებერვალი გაუთენეს!**

ასე იქცა 25 დეკემბერი 7 იანვრად (თუმცა, დეკემბერს შერჩა ძველქართული დასახელება „ქრისტეშობისთვე“, ხოლო ერის ისტორიული მეხსიერებიდან დღემდე არ ამოდის ფასდაუდებელი წყობილსიტყვაობა – „ოცდახუთსა დეკემბერსა ქრისტე იშვა ბეთლემსაო“;

**ასე გამოცხადდა ილიას მკვლელობის დღე – 30 აგვისტო 12 სექტემბრად...** ასე იქცნენ 18-19 იანვრის შემდეგ დაბადებულები თებერვალში დაბადებულებად, 18-19 თებერვლის შემდეგ დაბადებულები – მარტში დაბადებულებად და ა.შ. მართლაც როგორია – კაცი აპრილის მიწურულს გაჩნდე და გიმტკიცონ – გინდა თუ არა, მაისში მოევლინე ქვეყნიერებასო!

**თქვენ წინაშეა გაზეთ „საქართველოს“ 1918 წლის 26 იანვრისა და 27 იანვრის ნომრები.** აღნიშნული გამოცემა იმ თბილისის უნივერსიტეტის გახსნას გვაუწყებს, რომლის დაარსების თარიღად ახალ ჟამთაღრიცხვას აყოლილი უნებლიე მეკალენდრენი 8 თებერვალს აცხადებენ და აღნიშნავენ კიდეც! არადა, ამ უბრწყინვალეს დღეს თბილისში იანვარი იდგა, ამ ამბის ამსახველი გაზეთიც იანვრით იყო დათარიღებული... რაღა მაინცდამაინც უნივერსიტეტის დაარსების დღეს მოაწერა სულძაღლმა ულიანოვმა ხელი იმ ავადსახსენებელ დეკრეტს, რომლის ძალითაც ძველი და ახალი სტილების არსებობას მიეცა სტარტი პოსტრუსული იმპერიის ფარგლებში?!

**დიახ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 1918 წლის 26 იანვარს დაარსდა, დაარსდა იმ დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, რომელიც ამ დღიდან 793 წლით ადრე, ასევე იანვრის თვეში მიიცვალა, ძველქართულად აპნისად რომ იწოდების!**

ასე რომ, პასუხი კითხვაზე – თბილისის უნივერსიტეტი 1918 წელს, ხეში წყლის ჩადგომამდე დაარსდა თუ ხეში წყლის ჩადგომის შემდეგ? – პასუხი ერთადერთია: **თბილისის უნივერსიტეტი 1918 წლის 26 იანვარს დაარსდა,** თებერვლის დადგომამდე, როცა ხეში წყალი ჯერ კიდევ არ იყო ჩამდგარი!


საქართველო
ეროვნ. დემოკრატ.—1, ფედერალისტი—1.
ქართული უნივერსიტეტის გახსნა. დღეს, იანვრის 26 ქართული გიმნაზიის შენობაში (წყნეთის ქ. № 51) გაიხსნება ქართული უნივერსიტეტი...

გაზეთი „საქართველო“, პარასკევი, 1918 წლის 26 იანვარი


საქართველო
ქრონიკა
თბილისი.
უნივერსიტეტის გახსნა. გუშინ შუადღის 1 საათზე გაიხსნა ქართული უნივერსიტეტი.
აკაკი წერეთლის გარდაცვალე...

გაზეთი „საქართველო“, შაბათი, 1918 წლის 27 იანვარი



## დედაუნივერსიტეტი 107 წლისაა

ამ თარიღთან დაკავშირებით, თსუ რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ, სტუდენტებმა, პროფესორმასწავლებლებმა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა თსუ პანთეონში უნივერსიტეტის დამფუძნებლების საფლავები ყვავილებით შეამკეს.

1918 წელს ივანე ჯავახიშვილისა და მისი თანამოაზრეების მიერ სათავადაზნაურო გიმნაზიის 3 ოთახში, სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის 369 სტუდენტითა და 89 მსმენელით ჩაეყარა საფუძველი ევროპული ტიპის უმაღლეს განათლებას საქართველოში – გაიხსნა ტფილისის უნივერსიტეტი. უნივერსიტეტმა იმთავითვე საკუთარ თავზე აიღო ქვეყნის განათლება და განვითარება.

დღეს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 30-მდე კორპუსში, მათ შორის 12 სასწავლო კორპუსში, 7 ფაკულტეტის 240 საგანმანათლებლო პროგრამაზე, 26 ათასამდე სტუდენტი სწავლობს და 16 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და 85 ლაბორატორიაა განთავსებული.

თსუ აქტიურად თანამშრომლობს 56 ქვეყნის 200-ზე მეტ პარტნიორ უნივერსიტეტთან. თსუ სტუდენტები, პროფესორები, ადმინისტრაციის თანამშრომლები ჩართულნი არიან ევროკავშირის პროექტში „ერასმუს პლუსი“ 26 ევროპული ქვეყნის 86 უნივერსიტეტთან.

# ენჯიოკრატია საქართველოში

**2013 წლის იანვარში „ჩეტემ ჰაუზმა“ გამოაქვეყნა ცნობილი ექსპერტის, ორისია ლუცევიჩის მოხსენება „როგორ დავასრულოთ რევოლუცია: სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში, მოლდოვაში და უკრაინაში“. ეს ნაშრომი საქართველოში სრულიად შეუმჩნეველი დარჩა, თუ არ ჩავთვლით ექსპერტის, პროფესორ პეტრე მამარაძის კვლევას, რომელიც საქართველოში ჩამოყალიბებულ ენჯიოკრატიას მიეძღვნა. მიუხედავად იმისა, რომ თავად კვლევა 2017 წელს გამოქვეყნდა, მისი ყველა ასპექტი დღეს კიდევ უფრო აქტუალურია და საქართველოში მიმდინარე პროცესების ფონზე ძალზედ ბევრ კითხვაზე გვაძლევს პასუხს.**

ლუცევიჩის დასკვნები ასეთია: „ენჯიოკრატია ამ სამ ქვეყანაში ძირს უთხრის დემოკრატიული ინიციატივებისათვის ხელის შეწყობას. იმის გამო, რომ ენჯიოებმა ვერ დასძლიეს საბჭოური მემკვიდრეობა და იკავებენ ვიწრო საჯარო სივრცეს პირად და სახელმწიფო სფეროებს შორის, მთავრობებს კარტ-ბლანში აქვთ“.

სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში, მოლდოვასა და აზერბაიჯანში ისევ სუსტია, რაც იმაში ვლინდება, რომ მოქალაქეებს პოლიტიკური მოვლენების განვითარებაზე გავლენის მოხდენის მწირი საშუალება აქვთ. ეს გამოწვეულია მათი ჩართულობის სიმცირით, კლიენტელისტური ქსელით და კორუფციით;

**დასავლეთის მიერ დაფინანსებული ენჯიოები ქმნიან ენჯიოკრატიას, რომლის ფარგლებში ენჯიოების პროფესიონალი ლიდერებს აქვთ ურთიერთობა ადგილობრივ პოლიტიკოსებსა და დასავლეთის დონორებთან და ამ ურთიერთობას იყენებენ საჯარო პოლიტიკაზე გავლენის მოსახდენად, მაგრამ ენჯიოების ლიდერები მოწყვეტილნი არიან ხალხის მასას;**

ბევრი დასავლელი დონორი, რომელმაც განახორციელა მნიშვნელოვანი ინვესტიციები სამოქალაქო სექტორის გაძლიერებაში, ხშირად აწარმოებს „მუდმივი კლიენტების ქსელის“ მხარდაჭერის პოლიტიკას (ანუ წლიდან წლამდე აფინანსებს ერთსა და იმავე ენჯიოებს) და ამით ინარჩუნებს განხეთქილებას რამდენიმე კარგად ორგანიზებულ ჯგუფსა და აქტიურ მოქალაქეებს შორის.

დასავლეთში ფერადი რევოლუციები თავდაპირველად სამოქალაქო საზოგადოების ტრიუმფად, თავისუფლებისა და დემოკრატიის გამარჯვებად და დემოკრატიზაციის „მესამე ტალღის“ გრანდიოზულ ფინალად აღიქვეს (შეგახსენებთ, რომ აშშ-ის მაშინდელმა სენატორებმა ჰილარი კლინტონმა და ჯონ მაკკეინმა სააკაშვილი და იუშჩენკო მშვიდობის დარგში ნობელის პრემიაზე წარადგინეს, რასაც ზოგიერთმა ამერიკელმა მეცნიერმა მაშინათვე „ნაადრევი მოქმედება“ უწოდა, თუმცა ლუცევიჩი იქვე აღნიშნავს, რომ ყოველი ფერადი რევოლუციის შემდეგ ყველა ქვეყანაში გამოიკვეთა ორი პრობლემა: პირველი ის, რომ ელექტორალურ (ანუ არჩევნებით განხორციელებულ) რევოლუციებში კოლექტიური ნების გამოხატვის შემდეგ, იგივე ხალხი რევოლუციების შემდგომ პერიოდში გავლენას ვეღარ ახდენდა ყოველდღიურ პოლიტიკურ ცხოვრებაზე და ვერ აკონტროლებდა თავის მიერ არჩეულ ხელისუფლებას. მეორე პრობლემა კი ის აღმოჩნდა, რომ დემოკრატია უკან-უკან იხევს, თუკი სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან მნიშვნელოვანი ზეწოლა არ ამაგრებს მას, ხოლო დასავლეთის მიერ სამოქალაქო საზოგადოების გასაძლიერებლად დახარჯულმა მილიონობით დოლარმა ვერ უზრუნველყო მთლიანად სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება და დემოკრატიის განმტკიცება.




**„დასავლეთს მიაჩნია, რომ პოსტსაბჭოურ სახელმწიფოებში სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობისათვის მან უნდა გაუწიოს ფინანსური და ტექნიკური დახმარება ადგილობრივ რეგისტრირებულ ენჯიოებს, რათა მათ აქტიური ზეგავლენა მოახდინონ მთავრობაზე. ეს ადგილობრივი ენჯიოები სამოქალაქო საზოგადოების სინონიმად იქცნენ და ფაქტობრივად ახდენენ სამოქალაქო საზოგადოების დისკურსის მონოპოლიზაციას, რითაც უკან იტოვებენ უფრო ფართო საზოგადოებას და მოქალაქეთა ჩართულობის სხვა არაინსტიტუციურ ფორმებს“.** იქვე აღნიშნულია, რომ ზოგიერთი ექსპერტის აზრით, ასეთმა ენჯიოებმა გადამწყვეტი როლი შეასრულეს ახალგაზრდების და ამომრჩევლების მობილიზაციაში, რამაც საბოლოოდ უზრუნველყო რეჟიმების შეცვლა, თუმცა ზოგიერთ ექსპერტს მიაჩნია, რომ ენჯიოების როლი მარგინალური იყო და სამოქალაქო პროტესტი წარმატებული აღმოჩნდა ადგილობრივი პოლიტიკური ოპოზიციის მხარდაჭერის გამო. ფერადი რევოლუციების შემდეგ, როდესაც სამოქალაქო საზოგადოების ლიდერები ცდილობდნენ, გამარჯვების ტალღაზე დაემკვიდრებინათ მოქალაქეთა ჩართულობის ახალი სულისკვეთება, საქართველოში „კმარამ“, უკრაინაში „პორამ“ და მოლდოვაში „იფიქრე მოლდოვაზე“ და „კიშინოვის ჰაიდ-პარკმა“ ვერ შეძლეს რევოლუციების კოლექტიური ენერგიის ტრანსფორმირება ორგანიზებულ, ზომიერ სამოქალაქო ძალად. საქართველოში „კმარა“ საერთოდ დაიშალა, ხოლო ენჯიოების ყველაზე აქტიურმა ლიდერებმა დაიკავეს მაღალი თანამდებობები საქართველოს ახალ ხელისუფლებაში. ამის შემდეგ კი ხელისუფლებამ გარიყა ენჯიოების დანარჩენი სექტორი და აღკვეთა მათი მონაწილეობა სერიოზულ საჯარო დისკურსში.

ორისია ლუცევიჩის მოხსენება ემყარება საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში მაღალ დონეზე ჩატარებულ სამეცნიერო კვლევას. მოხსენების ყოველი დებულება ეყრდნობა კონკრეტულ ფაქტობრივ მონაცემებს, შესწავლილია დაფინანსება, კონკრეტულად გამოკვლეულია ენჯიოების საქმიანობა და ამ საქმიანობის შედეგები, ჩატარებულია მრავალი გამოკითხვა.

**პროფესორი პეტრე მამრაძე „შიგნიდან“ აკვირდებოდა ლუცევიჩის მიერ შესწავლილ მოვლენებს.** იგი იხსენებს: „უშუალო მოწმე ვარ იმისა, რომ ზურაბ ჟვანია დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა განათლებული ახალგაზრდების რეკრუტირებას თავის პოლიტიკურ გუნდში. ზურაბი ხშირად ამბობდა - „ყველა „კაი ტიპი“ ჩვენთან უნდა იყოს“ და დაუღალავად ეძებდა განათლებულ და ენერგიულ ახალგაზრდებს. ზურაბი ხაზს უსვამდა იმას, რომ ასეთი ახალგაზრდა უსათუოდ ამბიციურიც უნდა ყოფილიყო, ვინაიდან ამბიციის გარეშე საკმარისი სტიმული არ ექნებოდა პოლიტიკურ ასპარეზზე გაძლიერებისა და დაწინაურებისათვის. როდესაც ამბიციური ახალგაზრდების რაოდენობამ გარკვეულ კრიტიკულ ნიშნულს მიაღწია (მ.სააკაშვილს ამ ახალგაზრდებს შორის უკვე გამორჩეული ადგილი ეკავა), ზურაბის ერთმა თანატოლმა-თანაგუნდელმა გააფრთხილა, რომ მალე ზურაბის მიერ შეკრებილი ამბიციური ახალგაზრდები თვითონ ზურაბს „მოინელებდნენ“, მაგრამ ზ. ჟვანიამ მისთვის ჩვეული ემოციურობით ბრალი დასდო ამ თანაგუნდელს, რომ ის უბრალოდ „ვერ იტანდა ახალგაზრდა ინტელექტუალებს“. თავის მხრივ „ახალგაზრდა ინტელექტუალები“ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ „კაი ტიპების“ შემოკრებას და მაშინდელ ენჯიოების ლიდერებთან და ერთადერთი არასამთავრობო ტელევიზიის „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტებთან და ხელმძღვანელთან, ეროსი კიწმარიშვილთან, მჭიდრო თანამშრომლობას. **აღსანიშნავია, რომ ე.კიწმარიშვილი არასოდეს მალავდა და პირად საუბრებში პირდაპირ აცხადებდა, რომ მისთვის ტელევიზია იყო ბიზნესი და, შესაბამისად, ფულის კეთების საშუალება.** 1998 წლიდან საქართველოში სულ უფრო ძლიერდებოდა კორუფცია, მანამდე „საბაზრო ეკონომიკურ რეფორმებში პოსტსაბჭოური სივრცის ჩემპიონად“ (ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატის გერი ბეკერის შეფასება) აღიარებული ქვეყანა სწრაფად იძენდა „არშემდგარი სახელმწიფოს“ სტატუსს. სწორედ იმ პერიოდში დასავლეთის დონორებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს საქართველოში ენჯიოების და მას-მედიის მხარდაჭერას, ხოლო პარლამენტში „ახალგაზრდა რეფორმატორების“ ჯგუფთან ურთიერთობას. ეს ბუნებრივიც იყო. მაშინ სახელისუფლებო წრეებში გაჩნდა „უერთგულესი ბიჭების“ და „მოღალატე რეფორმატორების“

## Reuters: ტრამპის ბრძანებით აშშ-ის ბიუჯეტის დაფინანსება არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის უნდა გადაიხედოს



**ვაშინგტონი, 7 თებერვალი. ამერიკის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა გასცა ბრძანება, გადაიხედოს ყველა არასამთავრობო ორგანიზაციის დაფინანსება, რომლებიც სახსრებს აშშ-ის ბიუჯეტიდან იღებენ.**

**აშშ-ის ოფიციალური პირების ცნობით, ამერიკელმა ლიდერმა შესაბამის განკარგულებას ხუთშაბათს მოაწერა ხელი. სხვა დეტალები ჯერ არ სახელდება.**

**ტრამპის ადმინისტრაციამ ადრე უკვე გაატარა რამდენიმე ღონისძიება, რომელიც მიზნად ისახავდა ფედერალური ხარჯების შემცირებას. იანვრის ბოლოს თითქმის ყველა უცხოური დახმარების პროგრამის დაფინანსება შეჩერდა. ՍՏგIდ ფაქტობრივად გაუქმდა, ხოლო მისი პირდაპირი წესით დასაქმებული პერსონალი მასობრივად დაითხოვეს.**

**ჩვენი საზოგადოებისთვის, ალბათ, ყველაზე საინტერესო ქართული არასამთავრობოების დაფინანსების დეტალებია. სავარაუდოდ, მოკლე ხანში ეს ინფორმაციაც გასაჯაროვდება.**



ცნებები. მოწმე ვარ იმისა, რომ „მოღალატე რეფორმატორები“ და ენჯიოების ლიდერები იმხანად უცხოურ დელეგაციებთან შეხვედრისას სრულ სიმართლეს ეუბნებოდნენ უცხოელებს საქართველოში შექმნილ ვითარებაზე, ხოლო „უერთგულესი ბიჭები“ უტიფრად უმტკიცებდნენ უცხოელებს, რომ ყველაფერი იყო შესანიშნავად და ერთადერთი პრობლემა ის იყო, რომ „მოღალატე რეფორმატორები“ ცილს სწამებდნენ ხელისუფლებას, ვინაიდან სურდათ ხელისუფლების დისკრედიტაცია ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნით. **„მოღალატე რეფორმატორებს“ ნამდვილად უნდოდათ ძალაუფლების ხელში ჩაგდება, მაგრამ იმხანად უცხოელებს „მოღალატეები“ და ენჯიოების ლიდერები მხოლოდ სიმართლეს ეუბნებოდნენ, ამხელდნენ კორუფციას და მართვის კორუმპირებულ სისტემას. არც ტყუილის თქმა და არც არსებული ვითარების დრამატიზება მაშინ ნამდვილად არ სჭირდებოდათ და უცხოელთა ნდობასაც იმსახურებდნენ თავისი სიმართლით და დემოკრატიისათვის ბრძოლის მზადყოფნით.**

ვითარება იძაბებოდა. „თავისუფლების ინსტიტუტი“ სულ შვიდი ახალგაზრდისაგან შედგება, მაგრამ ტელევიზორი რომ ჩართო (იგულისხმებოდა პირველ რიგში „რუსთავი 2“), გეგონება, რომ ეს არის ხალხმრავალი და ძალიან ძლიერი ორგანიზაცია“, იუმორით მეუბნებოდა ენდიაის მაშინდელი ხელმძღვანელი. ამავდროულად აშშ-ის საინფორმაციო სააგენტოს მაშინდელი წარმომადგენელი საქართველოში, ქალბატონი ვიკა (პირობითი სახელია), გულისწყრომით მეუბნებოდა, რომ ყველაფერი იღონა „რუსთავი 2“-ის თანამედროვე დამოუკიდებელ ტელევიზიად ჩამოყალიბებისათვის, რომ აშშ-მ არ დაზოგა ფინანსები, რომ ჩატარდა ტრეინინგები, ტელევიზიას გაეწია ლოგისტიკური დახმარება და ა.შ. და ყველაფერ ამის შედეგად „ჩვენ მივიღეთ კიდევ ერთი საბჭოური ტელევიზია, ოღონდ უფრო თანამედროვე და უფრო პროფესიონალური“. ქალბატონ ვიკას ვუხსნიდი, რომ ეს გარდაუვალი იყო და რომ ვითარება მხოლოდ მაშინ შეიცვლებოდა, როცა ელექტრონული მასმედიის ბაზარზე არა ერთი (ანუ ავტომატურად მონოპოლისტი), არამედ ორი-სამი მაინც, ერთმანეთისაგან და ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი ტელევიზია შეიქმნებოდა, ვინაიდან მხოლოდ თავისუფალ კონკურენციაში მყოფ მასმედიას შეუძლია საბოლოო ჯამში ობიექტური ინფორმაციის მიწოდება საზოგადოებისათვის. აქვე აღვნიშნავ, რომ „ახალგაზრდა რეფორმატორები“ იმ პერიოდში ინტენსიურად პატრონობდნენ მეგობარ ენჯიოებს. ისინი იყენებდნენ იმას, რომ მაშინდელ ხელისუფლებაში არაერთი სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობა ეკავათ (მათ შორის იყვნენ პარლამენტის წევრები და მინისტრები) და უხსნიდნენ უცხოელ დონორებს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ენჯიოების უხვ დაფინანსებას საქართველოში კორუფციასთან ბრძოლისათვის, მასმედიის თავისუფლებისათვის, დემოკრატიის გამარჯვებისათვის და ა.შ.

**ვითარება მკვეთრად შეიცვალა 2003 წლის ნოემბერში „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ. ძალაუფლების ხელში აღების შემდეგ სააკაშვილი და მისი თანაგუნდელები ენჯიოებს და ტელევიზიას იხილავდნენ როგორც „მმართველი სიმაღლეების“ შემადგენელ ნაწილს. „რუსთავი 2“ უკვე 2004 წლის ზაფხულში მთლიანად დაიქვემდებარეს (ცრუმაგიერ მფლობელად მაშინ ოქრუაშვილის ახლობელი ქიბარ ხალვაში აირჩიეს).** ენჯიოების ყველაზე აქტიურმა ლიდერებმა, რომლებმაც საქართველოს ახალ ხელისუფლებაში მაღალი თანამდებობები დაიკავეს, შეინარჩუნეს სრული კონტროლი თავის ენჯიოებზე და აქტიურად იყენებდნენ თავის ძალაუფლებას სხვა ენჯიოების სრული დამორჩილებისათვის. „ნაცებს” ამ მხრივ ძალიან დაეხმარა აშშ-ის პრეზიდენტის პირადი ნდობა სააკაშვილისადმი. ცნობილი ამერიკელი მეცნიერები ლ.მიტჩელი და ა.ქუული წერილში „არასწორი მიდგომა მეგობრებთან ურთიერთობისადმი“ აღნიშნავდნენ, რომ ჯორჯ ბუშმა დიდი შეცდომა დაუშვა, როცა ჩათვალა, რომ „საქართველო ეს მიშაა“ და რომ საქართველოსთვის დახმარება მდგომარეობდა მთელი გამოყოფილი დახმარების სააკაშვილისათვის, გადაცემაში, ვინაიდან სააკაშვილს თავის რეფორმატორ-თანაგუნდელებთან ერთად, უნდა უკეთესად სცოდნოდა, როგორ გამოეყენებინა ეს დახმარება საქართველოს საკეთილდღეოდ, ვიდრე ვაშინგტონში მყოფმა ბიუროკრატებს. თბილისში, იმ წლებში, მართლაც დამკვიდრდა აზრი, რომ მხოლოდ ის ენჯიო მიიღებდა უცხოელი დონორების დახმარებას, რომელსაც სააკაშვილის ხელისუფლების შესაბამისი წევრები გაუწევდნენ რეკომენდაციას.

გადიოდა წლები და დასავლეთის არაერთი დამკირვებელი ხვდებოდა, რომ საქართველოში ავტორიტარული რეჟიმი ჩამოყალიბდა. თვისობრივი ცვლილება დასავლურ წარმოდგენაში მოხდა 2007 წლის 7 ნოემბრის დარბევის შემდეგ. აღსანიშნავია, რომ ტელეკომპანია „იმედის“ ბარბაროსულმა დარბევამ და დახურვამ ამ მხრივ გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, ვიდრე ქუჩაში ხალხის ცემამ პოლიციის და უფორმო „ზონდერების“ მიერ. აქვე ისიც გავიხსენოთ, რომ პრეზიდენტობიდან „გადამდგარი“ სააკაშვილის 2008 წლის იანვარში პრეზიდენტად ხელახალი არჩევის შემდეგ ორი ცნობილი ენჯიოს ხელმძღვანელი გია ნოდია და თემურ იაკობაშვილი გაპრეზიდენტებულმა სააკაშვილმა მინისტრებად დანიშნა და ასე დაუფასა თანადგომა რთულ პერიოდში. „საქართველო: ავტორიტარიზმისკენ სრიალი?“, ასეთი სათაურით გამოვიდა 2007 წლის დეკემბერში კრიზისის საერთაშორისო ჯგუფის ანგარიში საქართველოზე. ჯგუფის მუშაკებმა შესანიშნავად იცოდნენ, რომ საქართველოში უკვე ნამდვილი ავტორიტარიზმი სუფევდა და რომ სააკაშვილის გადადგომა მხოლოდ ფიქტიურ ხასიათს ატარებდა - „გადამდგარ“ სააკაშვილს წინასაარჩევნო პერიოდში ისევე ექვემდებარებოდა მთელი ადმინისტრაციული და ფინანსური რესურსი, როგორც მანამდე.

წერილის მოცულობა საშუალებას არ იძლევა, მოვიყვანოთ სააკაშვილის რეჟიმისადმი ენჯიოების სრული მორჩილების მრავალი მაგალითი. აღსანიშნავია, რომ **2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში დამარცხების შემდეგ სააკაშვილმა და მისმა ნაცებმა მნიშვნელოვნად გააძლიერეს თავისი მხარდამჭერი ენჯიოები. გაიზარდა მათი რიცხვიც და სააკაშვილის ხელისუფლების არაერთი წევრი ახლადშექმნილი ენჯიოების ლიდერად მოგვევლინა.** ეს ენჯიოები დღესაც ინტენსიურად და წარმატებულად თანამშრომლობენ უცხოელ დონორებთან.



ამხელენ 2012 წლის შემდეგ საქართველოში დამკვიდრებულ მართვის პატრონ-კლიენტელურ სისტემას და მის ყველა მანკიერ თვისებას და ისევ სიმართლეს ლაპარაკობენ, როგორც ამას აკეთებდნენ „ვარდების რევოლუციამდე“. უცხოელებიც (რომელთა შორის სადღეისოდ ცოტა თუ არის სააკაშვილის რეჟიმის დანაშაულების მომსწრე ან მცოდნე), რწმუნდებიან, რომ ეს ადამიანები ნამდვილად პროდასავლურად არიან განწყობილი და მხოლოდ სიმართლეს ამბობენ, კონკრეტულ ფაქტებს ეყრდნობიან და ა.შ. **ცნობილი ბლოგერის სოლომონ თერნალელის აზრით, ჩვენში ისეთი ვითარება შეიქმნა, როგორიც გერმანიაში იქნებოდა, ჰიტლერი რომ გადარჩენილიყო და უცხოეთში მიეწვიათ ნაციონალ-სოციალისტური რეფორმების ჩასატარებლად, ხოლო ჰიმლერს, გერინგს, გებელს და სხვებს ბუნდესტაგში რომ ამოეყოთ თავი და მისი ტრიბუნიდან გაეკრიტიკებინათ ადენაუერის მთავრობა მეორე მსოფლიო ომში დამარცხებისა და გერმანიის გახლეჩისათვის.**

ნაცების მორჩილი ძველი და ახალი ენჯიოების ლიდერებს არც კი ესმით, ცინიზმის რა სიმაღლეებს აღწევენ და სინდისიც არასოდეს აწუხებთ. ნაცები, ანუ სხვანაირად ნეოკომები (ნეოკომკავშირლები) ერთმანეთთან კორპორაციული ზნეობით (დ. ბერეკაშვილის შეფასებაა) არიან შეკრულები. მათ სწამთ, რომ მიზანი ამართლებს ნებისმიერ საშუალებას, ხოლო მიზანი, პოსტმოდერნიზმის ფასეულობების შესაბამისად არის პირადი წარმატება, წარმატების კრიტერიუმი კი არის მატერიალური სიმდიდრე და მაღალი თანამდებობა. საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვის დროს ხელისუფლების პროექტს ინტენსიურად აკრიტიკებდნენ და ახლაც აკრიტიკებენ ნაცები და მათი ენჯიოების ლიდერები, სწორედ ისინი, ვისაც ხმა არ ამოუღია მაშინ, როდესაც სააკაშვილი წლების განმავლობაში ჭრიდა და კერავდა კონსტიტუციას თავისი ინტერესებისა და სნებიანი ფანტაზიის შესაბამისად.

(გაგრძელება იქნება)

# ილონ მასკი: USAID ჭიანი ვაშლი კი არა, ჭიების გორგალია



**აშშ-ის ახალი სახელმწიფო მდივანი მარკო რუბიო USAID (აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო) ადმინისტრატორის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა.**

გავრცელდა ინფორმაცია, რომ ეს დამოუკიდებელი სააგენტო სახელმწიფო დეპარტამენტის დაქვემდებარებაში გადადის. პრეზიდენტმა ტრამპმა განაცხადა, რომ **USAID**-ს შეშლილი რადიკალები მართავენ.

სავარაუდოდ, **USAID**-ის 10 ათასი თანამშრომლიდან სააგენტოში 600-მდე თანამშრომელი დარჩება. ტრამპმა სააგენტო კორუფციაში დაადანაშაულა, თუმცა რაიმე კონკრეტული მტკიცებულება არ წარმოუდგენია. „**USAID**-ის შესახებ ახალი ამბები რადიკალ მემარცხენეებს აცოფებს, მაგრამ ფაქტია, რომ უზარმაზარი ფული სრულიად აუხსნელად დაიხარჯა“, – წერს ტრამპი თავის **Truth Social**-ში. „ჩვენ დიდი ხანია არ გვინახავს ასეთი კორუფცია. ეს კანტორა დასახურია!“

საჯარო მოსამსახურეთა პროფკავშირმა სასამართლოს მიმართა **USAID**-ის თანამშრომელთა უფლებების დასაცავად. ფედერალურმა მოსამართლე კარლ ნიკოლსმა „მეტად შეზღუდული“ დროებითი განჩინება გამოსცა, რომლის თანახმადაც, 2200 თანამშრომელი ჯერჯერობით არ გავა ადმინისტრაციულ შვებულებაში. მოსამართლემ არ დააკმაყოფილა მოსარჩელეთა სხვა მოთხოვნები, კერძოდ ადმინისტრაციულ შენობებში მათი დაშვებისა და გრანტებისა და კონტრაქტების შენარჩუნების შესახებ.



აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტმა ბაიდენმა **USAID**-ის ხელმძღვანელი ეროვნული უშიშროების საბჭოში შეიყვანა.

2023 წელს **USAID**-მა თავის პროექტებზე დაახლოებით 38,1 მილიარდი აშშ დოლარი დახარჯა,

მილიარდერმა ილონ მასკმა **USAID**-ს „პოლიტიკურად უზომოდ მიკერძოებული“ უწოდა და თქვა, რომ იგი მხარს უჭერს „რადიკალ მემარცხენეებს მთელ მსოფლიოში, მათ შორის ანტიამერიკულ საკითხებში“. მისი თქმით, **USAID**-ის გადარჩენა შეუძლებელია: „ეს ჭიანი ვაშლი კი არა, ჭიების გორგალია“.

2024 წელს ამერიკული დახმარების ყველაზე დიდი მიმღები იყო უკრაინა (6,35 მილიარდი დოლარი). ისრაელმა მიიღო $4,1 მილიარდზე მეტი, იორდანიამ – $1,3 მილიარდი, ეთიოპიამ – $1,2 მილიარდი. სხვა უმსხვილესი მიმღებები იყვნენ ავღანეთი, კონგო და სომალი.

თეთრმა სახლმა **USAID**-ის ყველაზე „ღიმილის მომგვრელი“ ხარჯები გამოაქვეყნა:

**ტურიზმის განვითარება ეგვიპტეში - $6 მილიონი**

**ელექტრო მანქანების წარმოება ვიეტნამში - $2.5 მილიონი**

**ლგბტ თემის განვითარება გვატემალაში - $2 მილიონი**

**თანასწორობისა და ინკლუზიის მხარდაჭერა სერბეთში - $1.5 მილიონი**

**მიუზიკლების შექმნა ლგბტ თემებით ირლანდიაში $70 000**

**ტრანსგენდერული ოპერის დადგმა კოლუმბიაში - $47 000**

# ღმერთმა გვიმრავლოს სპორტული ოჯახები!



**როგორც „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველებმა იციან, 2025 წლის 19 იანვარს ავსტრიის მაღალმთიან საკურორტო ქალაქ შლადმინგში გაიმართა ვეტერანთა ყოველწლიური შეჯიბრება სამთო-სათხილამურო სპორტში.**

ამ მეტად პრესტიჟულ ტურნირში 150-ზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობდა, რომელთა ასაკი 31 წლიდან 90 წლამდე მერყეობდა.

ძველი გვარდიის წარმომადგენელთა შორის საქართველოდან სამი სამთო-მოთხილამურე გამოდიოდა, მათ შორის ყველაზე უფროსი – 88 წლის ელგუჯა ორჯონიკიძე, 82 წლის გერა აბრამაშვილი და ბატონ ელგუჯას შვილიშვილი, 31 წლის გიორგი ქორქიაშვილი-ორჯონიკიძე.

ბრძოლა თითქმის გაყინულ ტრასაზე მიმდინარეობდა და სიმაღლეთა სხვაობა სტარტსა (1555 მ) და ფინიშს შორის (1390 მ) 165 მეტრს შეადგენდა.

შესანიშნავად იასპარეზა ბატონ ელგუჯას შვილიშვილმა გიორგიმ, რომელმაც პირველი ადგილი დაისაკუთრა. თვით ელგუჯა ორჯონიკიძე ორჯერ გამოვიდა სტარტზე, პირველად სუპერგიგანტში. უშეღავათო ბრძოლაში მეორე, ხოლო გიგანტურ სლალომში მესამე ადგილი მოიპოვა. სამწუხაროდ, ვეტერანთა ბატალიების მონაწილე მესამე ქართველი გერა აბრამაშვილი ყინულიან ტრასაზე ვარჯიშის დროს დაიმტვრა, შეჯიბრს გამოეთიშა და სამკურნალოდ კლინიკაში გადაიყვანეს. ექიმების ოპერატიული ჩარევის შედეგად მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

აღსანიშნავია ისიც, რომ სოლიდური ასაკის მიუხედავად ბატონი ელგუჯა წლებს არ ეპუება და ახლა იტალიაში ჩასატარებელი შეჯიბრებისათვის ემზადება, რომელიც თებერვალში გაიმართება. ბატონი ელგუჯა ორჯონიკიძე ათი-თხუთმეტი წელია, რაც სისტემატურად ასპარეზობს ვეტერან სამთო-მოთხილამურეთა ტურნირებზე და ყოველთვის საპრიზო ადგილებით გვიბრუნდება მშობლიურ წაღვერში. იგი ერთადერთი ვეტერანია, რომელიც საქართველოს სახელით ასპარეზობს ამ მეტად პრესტიჟულ შეჯიბრებებში.

ახალგაზრდობის წლებში იგი არაერთხელ იყო საქართველოს ჩემპიონი სწრაფდაშვებაში. მის კვალს გაყვნენ შვილები – გია და ელგუჯა (უმცროსი), რომლებიც 14-15 წლის ასაკში ყოფილ სსრ კავშირის ნაკრებში ასპარეზობდნენ. გია სწრაფდაშვებასა და სლალომში, ხოლო ელგუჯა უმცროსი ტრამპლინიდან ხტომაში წარმატებებსაც აღწევდნენ.

სასიხარულოა ისიც, რომ ბატონი ელგუჯას მესამე შვილი, ქალბატონი ეკა წლების განმავლობაში სამთო-სათხილამურო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი იყო, დღეს კი სპორტული ბაკურიანის განვითარების სააგენტოს უდგას სათავეში.

ღმერთმა გვიმრავლოს საქართველოში სახელოვანი სპორტული ოჯახები.

**ვალერიან ლომიძე,**
**ბაკურიანი – ბორჯომი.**

# მსოფლიოზე-მეშვიდედ!

**შედეგი ასე თუ ისე მისაღებია, მაგრამ თამაშით და დაშვებულ შეცდომათა სიმრავლით მაინც უკმაყოფილონი ვართო – ასე შეაფასეს ბორჯღალოსნებმა რაგბი ევროპის მეორე ტურის გამარჯვება ნიდერლანდებთან – 40:7.**

საკითხისადმი ასეთი თვითკრიტიკული მიდგომა ნათლად მეტყველებს **რიჩარდ კოკერილის** ანსამბლის მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობასა და საკუთარი ძალების რწმენაზე, რაც მომავალ წარმატებათა საწინდრად გვესახება.

მოკლედ, 2 შეხვედრაში ბიჭების მიერ დადებული 22(!) ლელო, დაგვეთანხმებით, მრავლისმთქმელი ფაქტია. ვულოცავთ მათ მსოფლიოს თასის საგზურის ზედიზედ მე-7 მოპოვებას.

**ლელო:** კახოიძე, ლობჟანიძე, ტაბუცაძე (44-ე სანაკრებო!), საღინაძე, მამაიაშვილი, ჯავახია.

**გარდასახვა:** მატკავა (2), ნინიაშვილი (3).

**16 თებერვალი:** ესპანეთი – საქართველო.

# დავითობის მადლით

**შვიდი ტაიმი და კიდევ 10 წუთი დასჭირდა ხვიჩა კვარაცხელიას ფრანგული ნავსის გასატეხად, თუმცა ამით მის ბრწყინვალებას არაფერი აკლდება, რადგან პარი სენ-ჟერმენის საკლუბო და გუნდური სტრუქტურებისგან სრული ნდობით აღჭურვილი ჩვენი ვარსკვლავბიჭუნა წარმატებით უშინაურდება ახალ გარემოს და მისი სახელისა თუ გვარის სკანდირებას თანდათან პარკ დე პრენსზეც ეჩვევიან.**

განსაკუთრებით აღსანიშნავია იმ მრისხანე მეტოქის ფაქტორი, რომელსაც კვარამ გადამწყვეტი გოლი გაუტანა 4:1. დიახ, მონაკო ყველასათვის ანგარიშგასაწევი ძალაა არამარტო ლიგა – 1-ში, არამედ საერთაშორისო სარბიელზეც. სიმბოლურია აგრეთვე ისიც, რომ ეს ამბავი მაშინ მოხდა, როცა დავითობა თენდებოდა.

და, რაც მთავარია: ჯერჯერობით **ლუის ენრიკე** თავის შეგირდთა შორის კონკურენციას დასაშვებ ნორმებში აქცევს და ისეთი ტაქტიკით ირჩევს თამაშს, მეტ-ნაკლებად ყველას რომ ეძლევა შანსი, მათ შორის – ხვიჩასაც.

ხვალ ჩემპიონთა ლიგაა: ბრესტი – პსჟ.

# ძმის კვალზე

**ქართველი მებრძოლის ალექსანდრე თოფურიას დებიუტი UFC-ში წარმატებით შედგა. მან ავსტრალიელი მეტოქე კოლბი თიქნესი მსაჯების ერთსულოვანი გადაწყვეტილებით დაამარცხა და კარიერაში მორიგი გამარჯვება ჩაიწერა.**

ბრძოლა სამ რაუნდს გაგრძელდა და ალექსანდრემ ყველა რაუნდში იმარჯვა. გეტყვით, რომ ქართველმა აქამდე დაუმარცხებელი თიქნესის დამარცხება შეძლო და მის გრაფაში 0 შეცვალა.

ბრძოლის შემდეგ თოფურიამ შემდეგი კომენტარი გააკეთა:

**„ყველა სცენარისთვის მზად ვიყავი ამისთვის თავდაუზოგავად ვემზადებოდი. ეს MMA-ია, სადაც ყველაფერი ერთმა დარტყმამ შეიძლება გადაწყვიტოს, ამიტომ ხანდახან დარტყმებს ვიყენებდი, ხანდახან ჭიდაობას. ნოკაუტით მოგება? ხანდახან ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც ჩვენ გვინდა. კოლბი ამბობდა, რომ ღრმა წყლებში გამიშვებდა, მაგრამ შეხედეთ, ვინ არის ახლა ღრმა წყალში.“** – განაცხადა ალექსანდრემ.

შეგახსენებთ, რომ თოფურიას MMA-ში სულ 7 ბრძოლა აქვს ჩატარებული, საიდანაც 6-ჯერ მოიგო, ხოლო ერთხელ დამარცხდა.

# ერთი პირის საწარმო

**ალბათ, მკითხველთა ნაწილი იფიქრებს, ერთნაირი ტექსტებით როდემდე უნდა ასახოთ თორნიკე შენგელიას დიდოსტატური თამაში ევროლიგაში მაშინ, როცა კლაიბერნის ტრავმის გამო მისი გუნდი იშვიათად თუ ახერხებს ქომაგთა გახარებასო.**

გარკვეულწილად მართალნიც იქნებით, მაგრამ, მეორეს მხრივ, რა დააშავა ვირტუსის ლიდერმა, რომელიც პარტნიორთა შორის გამორჩეულია და საუკეთესო საკლუბო სეზონს ატარებს?

**ვირტუსი – პარიზი 77:83**

მართალია, ჯვაროსანთა კაპიტანმა ამჯერად 17 ქულა იკმარა, მაგრამ იტალიელებს, ტრადიციისამებრ, გამარჯვებამდე მცირედი დააკლდათ.

**სატურნირო ცხრილი:** ოლიმპიაკოსი – 19, ფენერბახჩე – 17, პანათინაიკოსი, მონაკო, ცრვენა ზვეზდა, ბაიერნი – 16, პარიზი – 15, პარტიზანი, ბარსელონა, მილანი – 14, რეალი – 13, ეფესი, ჟალგირისი – 12, ბასკონია, ვილერბანი – 11, ვირტუსი – 7, მაკაბი – 6, ალბა – 4 მოგება.

**ალბათ, დაფიქრებულხართ, სპორტის საყვარელი სახეობის არჩევასთან დაკავშირებულ კითხვაზე ყველა რომ მოთამაშესაც ასახელებს და შედარებით იშვიათად – მწვრთნელსაც, მაგრამ მსაჯს ამ შემთხვევაში წამლადაც ვერ შეხვდებით.**

ამიტომაცაა, სავარაუდოდ, მეკარეობასთან ერთად აღნიშნული გატაცება უმადურობის სიმბოლოდ რომ ითვლება, როცა საქმე საქმეზე მიდგება, ერთი შეცდომის გამო უამრავ ნაკაიკაცარს წყალში რომ უყრიან.

სხვისი არ ვიცი, მაგრამ ჩემთვის, როგორც კალათბურთის ტრფიალისთვის, სამაგალითო პროფესიონალი საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი და საერთაშორისო კომისარი **მურმან ქურიძე** გახლავთ, რომელსაც დასახელებული პრესტიჟული რეგალიები, როგორც თამაშები, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები, საკლუბო ევროტურნირები – ეს ის ფორუმებია, რომლებიც წარმოუდგენელია ჩვენი ქვეყნის ჭეშმარიტად სადარბაზო ბარათად ქცეული პიროვნების სასტვენის გარეშე, მისი საერთაშორისო სამსაჯო კარიერის გვირგვინი კი 1988 წელს საკავშირო ნაკრებისა და ნბა-ს კლუბ „ატლანტა ჰოუქსის“ პირველი ისტორიული შეხვედრა გახდა, რომელსაც ამერიკელ კოლეგასთან ერთად მოემსახურა.

კიდევ უფრო შთამბეჭდავი – 35-წლიანი სტაჟი გამოარჩევს ქართველ „შაოსანთა“ ლიდერს სამშობლოს ჩემპიონატის მსაჯის ამპლუაში, მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარედ კი, როგორც სჩვევია, სრულიად ახალგაზრდა აირჩიეს და 37 წლის განმავლობაში თავკაცობდა თანამებრძოლებს როგორც

# სასტვენით - მეცნიერებაში

პირველს თანამემამულეთა შორის, ფიბა-ს საერთაშორისო სემინარზე მიანიჭეს.

ბუნებრივია, მიხეილ მესხის ბუმის ეპოქაში, „ნახალოვკელთა“ უმეტესობის მსგავსად, მანაც ფეხბურთით დაიწყო დაოსტატება, მაგრამ მალევე მიაგნო მოწოდებას და საყვარელ სახეობაში სულმნათ გიორგი ავალიშვილთან ჩაუშვა ღუზა.

წარმოშობით გურულს, თითქოს იმ დროიდანვე დაებედა გადაწყვეტილებების ნაადრევად, ასე ვთქვათ, ემოციურად მიღება და სიჭაბუკეშივე დააჭაშნიკა მსაჯობა, 20 წლისას კი საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის მატჩების გაძღოლა ანდეს, რასაც მის დაშლამდე 25 სეზონის განმავლობაში ღირსეულად ართმევდა თავს. ოლიმპიური ზესახელმწიფოს, ისე დამოუკიდებლობის ეპოქებში (1971-2008 წლებში).

და ბოლოს: სსრკ-ს დაშლამდე 10-ჯერ(!) დაასახელეს ქვეყნის 10 საუკეთესო არბიტრს შორის, ხოლო აქტიურ სარბიელზე პირველი ნაბიჯების გადადგმის პერიოდში რამდენიმე თამაში ლენინგრადში თვით ლეგენდარულ ვლადიმერ კონდრაშინთან ერთად იმსაჯა.

სხვათა შორის, სწორედ ნევისპირა ქალაქს უკავშირდება ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის, მევენახეობისა და მეღვინეობის საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრის, აკადემიკოსის, გაუქმებამდე მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტის დირექტორის შრომითი ნათლობა,





სადაც ჯერ ოსტატ მეღვინედ, 22 წლისა კი ცენტრალური ღვინო-მასალების საამქროს უფროსად დანიშნეს.

ცენტრში მიღებული ცოდნა და გამოცდილება ბატონმა მურმანმა განსაკუთრებით თბილისში დაბრუნების შემდეგ გამოავლინა კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში უფროს მეცნიერ-მუშაკად, კაჭრეთის ღვინის ქარხანაში მთავარ ინჟინერ-ტექნოლოგად და დედაქალაქის შამპანიური ღვინოების ქარხანაში დირექტორის მოადგილედ მოღვაწეობისას.

აღარაფერს ვამბობთ პარლამენტის წევრის – აგრარული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილისა და საქართველოს ენოლოგთა კავშირის თავმჯდომარის მიერ გამოჩენილ საშვილიშვილო ინიციატივებსა და ქმნილ კეთილ საქმეებზე, რომელთაგანაც მამულიშვილურად უნდა მივიჩნიოთ წინაპართა სოფლებში განხორციელებული პროექტები:

**2007 წელი** – ჩოხატაურის რაიონის სოფელ ვან-ზომლეთში აღადგინეს თანამედროვე ხიდი.

**2018 წელი** – ლანჩხუთის რაიონის სოფელ აკეთში აღადგინეს 80 წლის წინათ დანგრეული მაცხოვრის სახელობის ეკლესია, რომლის საწყისი ვარიანტიც თამარ მეფის დროსაა აგებული.

დღეს 80 წლის იუბილარი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტთა ხელმძღვანელი და ა(ა) იპ სახალხო მოძრაობა „საქართველოს აგრარული აღორძინების“ თავმჯდომარეა, რომლის მიზანიცაა „საქართველო ვაქციოთ განვითარებულ აგრარულ-ინდუსტრიულ ქვეყნად.

მრავალჟამიერ, ჩვენი რედაქციის ძველო ავტორო და მეგობარო!

**გია პლატონიშვილი**

# ყოჩაღ, პანამელო „ლამრო“!




**პანამაში მდებარე ქართული რესტორანი LAMRO პანამა სითის საუკეთესო რესტორნად დასახელდა, – ამის შესახებ „საქმიანი დილას“ ეთერში რესტორნის დამფუძნებლებმა ისაუბრეს.**

მათივე თქმით, პანამა სითიში 1480 რეგისტრირებული რესტორანია, პანამის მოსახლეობამ კი თავიანთ რჩეულად სწორედ ქართული რესტორანი დაასახელა.

„კრიტერიუმებში სამზარეულო, გარემო და მომსახურება შედიოდა. არც კი გვქონდა ამის მოლოდინი, რეიტინგს თვალს არც ვადევნებდით, მაგრამ 2025 წლის დასაწყისში წერილი მოგვწერეს და თან სერტიფიკატი გამოგვიგზავნეს.

ძალიან გვიხარია, რომ ქართული სამზარეულოს ასე კარგად წარმოჩენა შევძელით და პანამელები ქართული კერძებით დავაინტერესეთ“, – ამბობს LAMRO-ს თანადამფუძნებელი ელენე დიღმელაშვილი.

რესტორანი პანამაში ერთი წლის წინ გაიხსნა. კონცეფცია სრულად

## ქართული რესტორანი LAMRO პანამა სითის საუკეთესო რესტორნად დაასახელეს

ქართულია – ადგილობრივებს ქართული კერძებით, მუსიკითა და გარემოთი უმასპინძლდებიან, რამაც პანამელების მხრიდან როგორც ქვეყნის, ისე მისი ტრადიციების მიმართ დიდი ინტერესი გამოიწვია.

– ზედმეტად დაინტერესდნენ საქართველოთი, პირველად გაიგეს, რომ საქართველოში დაიბადა ღვინო და ღვინის ქვეყანა ვართ, გემოებით და სუნელებითაც ძალიან მოხიბლულები არიან.

ვინც ჩვენთან მოდის, ყველა საქართველოში მოგზაურობას გეგმავს. უნდათ, რომ ეს ქვეყანა ნახონ, მის შესახებ ბევრი გაიგონ. მოკლედ, შეიძლება, მალე პანამიდან საქართველოში ტურისტების გაზრდილი ნაკადი იყოს, – აღნიშნა LAMRO-ს თანადამფუძნებელმა გუგა ხელაშვილმა.

აღსანიშნავია, რომ ლოჯისტიკური საკითხების მოგვარებისთანავე, რამდენიმე კვირაში პანამის ქართულ რესტორანში საქართველოში წარმოებული ღვინო და ალკოჰოლური სასმელებიც გამოჩნდება, რომელსაც აშშ-დან შეიტანენ.




# რას ჭამდნენ ადამიანები 10 000 წლის წინ?!

**დაფიქრებულხართ იმაზე, თუ რას ჭამდნენ ადამიანები 10 000 წლის წინ?**

მკვლევრებმა 9700 წლით უკან დაიხიეს. მათ სკანდინავიის დასავლეთ სანაპიროზე, იმ ადამიანების კვალი შეისწავლეს, რომლებიც აქ ნადირობდნენ, საკვებს აგროვებდნენ და ჭამდნენ. ამ უძველესმა ადამიანებმა თავიანთი დიეტური საიდუმლოებები საღეჭ ფისში დატოვეს, რაც ქვის ხანის ცხოვრების უნიკალურ ხედვას გვთავაზობს.

სტოკჰოლმის უნივერსიტეტის მეცნიერებმა უძველეს საღეჭ რეზინზე დნმ-ის კვალი შეისწავლეს. კვლევამ უძველესი ადამიანების დღის რაციონი გამოავლინა და ასევე ნათელი მოჰფინა მათ სტომატოლოგიურ ჯანმრთელობას. მკვლევრებმა კბილებისა და ღრძილების მდგომარეობა ერთ-ერთი მოზარდის ნაშთების შესწავლით გამოავლინეს.

დაღეჭილი ფისის შესწავლით მკვლევრებმა დაადგინეს, რომ ამ ადამიანების საკვები ირმისა და კალმახის ხორცისგან შედგებოდა. ასევე ისინი აქტიურად იკვებებოდნენ თხილით.

დოქტორი ემრაჰ კირდოკი, მერსინის უნივერსიტეტის ბიოტექნოლოგიის დეპარტამენტიდან, საღეჭი ფისის მეტაგენომიურ ანალიზს ხელმძღვანელობდა.

კვლევით მეცნიერებს შეუძლიათ, გაიგონ თუ რას ჭამდნენ ადამიანები 10 000 წლის წინ და როგორი იყო მათი პირის ღრუს მდგომარეობა.



# მადამ კლიკო, ქალი, რომელმაც დღევანდელი შამპანური შექმნა

**ბარბ-ნიკოლ კლიკო პონსარდინი, ან, უბრალოდ, მადამ კლიკო — როგორც მას ფართო საზოგადოება იცნობს — არ იყო მხოლოდ ბიზნესმენი; ის რევოლუციონერიც გახლდათ. დაიბადა 1777 წელს საფრანგეთში, რეიმსში, თუმცა უმჯობესია, ამბის მოყოლა იქიდან დავიწყოთ, როცა 1805 წელს მისი ქმარი ფრანსუა კლიკო გარდაიცვალა და ქალის ცხოვრებაც მოულოდნელად შეიცვალა — ის გახდა ახალგაზრდა ქვრივი, შამპანურის მზარდი ბიზნესით, რომელიც მარტო დარჩა.**

იმ ეპოქაში, რომელშიც ქალები, ძირითადად, საშინაო როლებით შემოიფარგლებოდნენ, მადამ კლიკომ საზოგადოებრივი კლიშეების რღვევა დაიწყო, ხელში აიღო კომპანიის სადავეები, აჩვენა საოცარი მონდომება და ნამდვილი სამეწარმეო სული, რომელმაც შამპანურის მომავალი შექმნა.

მადამ კლიკოს ხელმძღვანელობის პერიოდი მთელი რიგი ინოვაციებით იყო სავსე. სწორედ მას მიაწერენ სასმლის გასუფთავების იმ მეთოდის გამოგონებას, რომლის წყალობითაც, ნალექი ბოთლის ყელში ამოდის, რათა საჭირო დროს მარტივი ამოსაღები იყოს, ეს კი კრისტალურად სუფთა, მაღალი ხარისხის შამპანურის მიღებას უზრუნველყოფს.

გარდა ამისა, მადამ კლიკო აღიარებულია პირველი ვინტაჟური შამპანურის შემქმნელად, რომელმაც ინდუსტრიაში ახალი, ბრწყინვალე სტანდარტი დაამკვიდრა. განსაკუთრებული მოსავლის შეცნობითა და მათი ცალკე ჩამოსხმით, მან აჩვენა, რომ კარგად ესმოდა სხვადასხვა წლების უნიკალური მახასიათებლები და მათი გავლენა საბოლოო პროდუქტზე. ვინტაჟური შამპანურის შექმნის ამ პრაქტიკამ, რომელიც ახლა ინდუსტრიის ქვაკუთხედს წარმოადგენს, შამპანური უბრალო სასმლიდან საკოლექციო ფუფუნების საგნად აქცია.

მადამ კლიკოს ამბიცია გასცდა საფრანგეთის საზღვრებს. მან დაინახა საერთაშორისო ბაზრების პოტენციალი და სათავეში ჩაუდგა მცდელობებს ბრენდის გლობალური მიღწევის გაფართოებისთვის. მისმა შამპანურებმა დიდი პოპულარობა მოიპოვა რუსეთის არისტოკრატიაში, რამაც Veuve Clicquot-ის რეპუტაცია კიდევ უფრო აამაღლა და კომპანიის გაყიდვები არამხოლოდ გაზარდა, არამედ კლიკოს ნაწარმი ინდუსტრიის სახედ აქცია.

მადამ კლიკოს წვლილმა შამპანურის ინდუსტრიაში ღრმა გავლენა მოახდინა. მისმა ინოვაციურმა მიდგომებმა, სამეწარმეო სტანდარტებმა და ხარისხისადმი ურყევმა ერთგულებამ Veuve Clicquot-ს ღვინის სამყაროში უკვდავება მოუტანა. ეს კომპანია დღესაც რჩება შამპანურის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ და აღიარებულ ბრენდად მსოფლიოში.

# ტრამპის ადმინისტრაციისგან წამოსული ტალღა საქართველოში მოქმედ აშშ-ის საელჩოსაც მისწვდება!

მეხუთე გვერდიდან

ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოდან უამრავ ადამიანს უშვებენ. ესაა გაჯანსაღების პროცესი, რომელიც აუცილებლად მისწვდება საქართველოში მოქმედ აშშ-ის საელჩოსაც და ყველა დანარჩენ საელჩოსაც.

* * *

**ანალიტიკოსი გია აბაშიძე** ჩვენთან საუბრისას აცხადებს, რომ საქართველოს მმართველ გუნდს აქვს ძალიან სწორი გათვლები და რა გათვლებსაც აკეთებს, ყოველთვის იღებს იმ სასურველ შედეგს, რაც დაგეგმა და განახორციელა. შესაბამისად, აქ ჩაირთვება ე.წ. დომინოს პრინციპი, იუსაიდს მიჰყვებიან სხვა ტოქსიკური ფონდებიც, რომლებიც უწინარესად უყაირათოდ ფლანგავდნენ ამერიკელი გადასახადის გადამხდელების ფულს. ზუსტად ამაზე აქვს ტრამპის ადმინისტრაციას აქცენტირება, რომ არა მხოლოდ საქართველოსთან მიმართებით, არამედ გლობალურად დაიხარჯა მილიარდები არაფერში.

**„დიდი ეჭვია, ეს თანხები კორუფციული გარიგებების და პროექტების მიხედვით იხარჯებოდა. შესაბამისად, ამ ყველაფერს ასე მალე ვერ ამოატივტივებენ, ამას სჭირდება საგამოძიებო კომისიები, შიდა უწყებრივი აუდიტები, სახელმწიფო დეპარტამენტი იქნება, თუ კიდევ სხვა ამერიკული სახელმწიფო დაწესებულებები. ყველაფერს პასუხი გაეცემა და წერტილი დაესმება. გაირკვევა, აშშ-ის საელჩოს როლიც როგორი იყო არა მხოლოდ საქართველოში, არამედ სხვა ქვეყნებშიც და ეს იქნება გლობალური პროცესი. რა თქმა უნდა, ჩვენ გვაქვს ჩვენი სუბიექტური ინტერესი ამასთან დაკავშირებით, მაგრამ მთლიანად სახელმწიფო საგარეო პოლიტიკა იცვლება ვაშინგტონიდან. „იუსაიდი“ იყო ერთ-ერთი უდიდესი მონსტრი, რომელიც გაანეიტრალეს, მას მიჰყვებიან სხვა მონსტრებიც. უკვე ვეღარ ვასწრებთ, ყოველდღიურად იმდენი ახალი ამბავია ამერიკაში იმის შესახებ, თუ როგორ ხდებოდა სახელმწიფო ფულის გაფლანგვა და უყაირათოდ ხარჯვა“,** – აცხადებს გია აბაშიძე.



ანალიტიკოსის აზრით, სახელმწიფო დეპარტამენტს ჰყავს ახალი ხელმძღვანელი მარკო რუბიო და ამჯერად აშშ-ის შეცდომების გაანალიზება მიმდინარეობს, ვაშინგტონმა ვისთან როგორ გაიფუჭა ურთიერთობა. ეს მხოლოდ საქართველოს არ ეხება, არამედ ამერიკის სხვა სტრატეგიულ პარტნიორებსაც. ერთი პერიოდი, ამერიკას ისრაელთან ჰქონდა გაფუჭებული ურთიერთობა. ეს უკვე გამოსწორდა პრემიერ ნეთანიაჰუს ვაშინგტონში ვიზიტით. დარჩნენ სხვა სტრატეგიული მოკავშირეები, იქნება ეს თურქეთი თუ საქართველო, რომელთანაც გადასალაგებელია ურთიერთობა. წარსული ოთხი წლის განმავლობაში ბაიდენის ადმინისტრაციამ ამერიკაში თუ მის ფარგლებს გარეთ ძალიან ბევრი რამ გააფუჭა. ამ აურზაურს, რომელიც მან მემკვიდრეობით დაუტოვა ტრამპს, დიდი საქმიანობა დასჭირდება გამოსასწორებლად და კალაპოტში დასაბრუნებლად.

**მანანა ნოზაძე**

# ა.ა.ი.პ. საქართველოს დიაბეტის ფონდის მიერ 2024 წელს განხორციელებული საქმიანობის ა ნ გ ა რ ი შ ი

ა.ა.ი.პ. **საქართველოს დიაბეტის ფონდი** (არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი, საქველმოქმედო ორგანიზაციის დამადასტურებელი მოწმობა #4, 15.04.2005).

**საქართველოს დიაბეტის ფონდის** საქმიანობა 2024 წ. მოიცავდა შემდეგ მიმართულებებს:

1.დიაბეტიანი მოსახლეობისთვის (ძირითადად მოზრდილები) უფასო კონსულტაციების ჩატარებას და სხვადასხვა სამედიცინო გამოკვლევების ჩატარებას;

2. დიაბეტიანებისთვის ანტიდიაბეტური მედიკამენტებით ჰუმანიტარული დახმარების გაწევას;

3. პაციენტების სასწავლო საგანმანათლებლო საქმიანობას;

4.მძიმე სოციალური მდგომარეობის მქონე პაციენტებისთვის ფინანსური დახმარების გაწევას;

ზემოთაღნიშნული ღონისძიებების დაფინანსება ხორციელდებოდა დეპოზიტის პროცენტებიდან და დამხმარე სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული სახსრებიდან.

1. საქართველოში მცხოვრები დიაბეტიანი პაციენტებისთვის სამედიცინო გამოკვლევები მოიცავდა სისხლში გლუკოზის განსაზღვრას, თვალის სრულ გამოკვლევებს (თვალის ფსკერის გამოკვლევას ფუნდუს კამერით, თვალის რეფრაქტომეტრული გამოკვლევას, თვალის წნევის გაზომვას, სათვალის შერჩევას და სხვ.).
2. დიაბეტიანი პაციენტებისათვის მედიკამენტებით ჰუმანიტარული დახმარება მოიცავდა ფონდის მარაგში არსებული ინსულინის და შპრიც-კალმისტრების დარიგებას; აგრეთვე საანალიზო-ტექნიკური საშუალებების (გლუკომეტრები, საანალიზო ჩხირები და სხვ.) გაცემას, როგორც საქართველოს მოქალაქეებზე, ასევე არარეზიდენტი დიაბეტიანი პაციენტებისთვის.
3. ფონდი დიაბეტურ სკოლაში ახორციელებთა დიაბეტური განათლების მიცემას ყველა დაინტერესებული პირისთვის, სადაც ლექციებს ატარებდნენ ენდოკრინოლოგიის აღიარებული და მაღალკვალიფიცური სპეციალისტები. ფონდმა დაბეჭდა და უფასოდ დაურიგა დიაბეტიან ბავშვებს და მოზრდილებს სასწავლო-სამაგიდე წიგნი „დიაბეტის მართვა", რომელიც ფასდაუდებელ დახმარებას უწევს დიაბეტიანი ბავშვების მშობლებს და ყველა დაინტერესებულ პირებს.
4. მრავალი წელია ფონდი ფინანსურ დახმარებას უწევს სოციალურად უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებს,რომელთაც სახლში ყავთ დიაბეტიანი და ასევე სხვა ნოზოლოგიის შშმ პირები.

საანგარიშო პერიოდში ზემოთაღნიშნული მომსახურება და დახმარება გაეწია ათეულობით დიაბეტიან ბავშვსა და მოზრდილ პაციენტს, რომლის დეტალური ანგარიში სრული საფინანსო ინფორმაციისათვის (იხილეთ ბალანსი და საქმიანობის შედეგების ანგარიშგების ფორმები) წინამდებარე ანგარიშს თან ახლავს.

**ააიპ საქართველოს დიაბეტის ფონდი**

**საქმიანობის შედეგების ანგარიშგება 2024 წლის**

**31 დეკემბერს დამთავრებული წლისათვის**

**I. შეუზღუდავი ფონდების ნაწილში** წლიური

| №№ | **შემოსავლები** | 2024 | 2023 |
|---|---|---|---|
| 1 | შეზღუდვისაგან განთავისუფლებული ფონდი ძირ. | | |
| 2 | დროებითი შეზღუდული ფონდი | | |
| 3 | შესრულებული სამუშაო | 188570,34 | 46268,87 |
| 4 | საპროცენტო შემოსავლები | 130733,63 | 66878,71 |
| 5 | დივიდენდი | 0,00 | |
| 6 | კურსთა სხვაობა | 23271,59 | 35334,26 |
| 7 | სხვა შემოსავლები | | |
| | | | |
| | **სულ შემოსავლები** | **342575,56** | **148481,84** |
| | **ხარჯები** | | |
| 1 | I პროექტის ხარჯი | **548988,89** | **408035,00** |
| 2 | II პროექტის ხარჯი(ფონდის გადანაწილება) | | |
| 3 | პროექტების მხარდაჭერის ხარჯი | | |
| 4 | ადმინისტრაციული და სხვა ხარჯი (კ/სხვ.) | | |
| | **სულ ხარჯები** | **548988,89** | **408035,00** |
| | მთლიანი შედეგი (შემოსავლების ნამეტი/ დეფიციტი) | -206413,33 | -259553,16 |
| | განსაკუთრებული მუხლები | | |
| | **წმინდა შედეგი (ფონდის ზრდა/შემცირება)** | **-206413,33** | **-259553,16** |
| | II.დროებითი შეზღუდული ფონდების ნაწილში | | |
| №№ | **შემოსავლები** | | |
| 1 | შემოწირულობა, | 10000 | 8,8 |
| 2 | საწევროები | 0,00 | |
| 3 | ფონდების გადანაწილება | | |
| | | | |
| | სულ შემოსავალი | 10000 | |
| | ხარჯები | | |
| 1 | I პროექტის ხარჯი | | |
| 2 | II პროექტის ხარჯი | 3995,20 | 14818,72 |
| 3 | III პროექტის ხარჯი | | |
| | სულ ხარჯები | 3995,20 | 14818,72 |
| | **წმინდა შედეგი (ფონდის ზრდა/შემცირება)** | **6004,8** | **-14809,91** |

## ააიპ საქართველოს დიაბეტის ფონდი
## ბ ა ლ ა ნ ს ი
### 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

| | | 2023 | 2024 |
|---|---|---|---|
| | აქტივები | | |
| | **გრძელვადიანი აქტივები** | | |
| | ძირითადი საშუალებები | 1976961,11 | 1922130,23 |
| | ინვესტიციები | 1582721,90 | 2047296,90 |
| | სხვა გრძელვადიანი აქტივები | | |
| | | | |
| | **მიმდინარე აქტივები** | | |
| | მატერიალური მარაგი | 10295,67 | 6300,47 |
| | დებიტორები | 3349,96 | 25619,64 |
| | ავანსები | 2749,44 | 619,44 |
| | ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტი | 799993,13 | 181942,06 |
| | | | |
| | **სულ აქტივები** | 4376071,21 | 4183908,74 |
| | ფონდები და ვალდებულებები<br>ფონდები | | |
| | შეუზღუდავი ფონდი | 3698004,32 | 3491590,99 |
| | დროებით შეზღუდული ფონდი | 674144,64 | 680149,44 |
| | მუდმივად შეზღუდული ფონდი | | |
| | გრძელვადიანი ვალდებულებები | | |
| | გრძელვადიანი სესხები | | |
| | საპენსიო ანარიცხები | | |
| | მოკლევადიანი ვალდებულებები | | |
| | კრედიტორები | 3922,25 | 12168,31 |
| | მოკლევადიანი სესხები | | |
| | გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი | | |
| | სულ ფონდები და ვალდებულებები | 4376071,21 | 4183908,74 |

## აშშ-ში დაკარგული თვითმფრინავი ზღვის ყინულზე იპოვეს!



**მაშველებმა აშშ-ში, ალასკაზე დაკარგული Bering Air-ის თვითმფრინავი იპოვეს. ბორტზე მყოფი ყველა ადამიანი დაიღუპა, – იუწყება abcnews-ი.**

მაშველებმა თვითმფრინავი ზღვის ყინულზე, ნომიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, დაახლოებით 55 კილომეტრის დაშორებით იპოვეს.

თვითმფრინავში სამი ადამიანის ცხედარი იპოვეს. სავარაუდოდ, დანარჩენი შვიდი ადამიანის ცხედარიც თვითმფრინავშია. მაშველების თქმით, მათი პოვნა ამ ეტაპზე თვითმფრინავის მდგომარეობიდან გამომდინარე ვერ ხერხდება.

ცნობისთვის, აშშ-ში, ალასკაზე **Bering Air**-ის თვითმფრინავი, რომელშიც 9 მგზავრი და ერთი პილოტი იმყოფებოდა, რადარებიდან ხუთშაბათს გაქრა.

## ირანი აშშ-ის მხრიდან ნებისმიერ მუქარას უპასუხებენ



**ირანის უზენაესი ლიდერი აიათოლა ალი ხამენეი შეერთებულ შტატებს "მსოფლიოს რუკის გადახაზვაში" ადანაშაულებს.**

„ამერიკელები სხედან და ხელახლა ხაზავენ მსოფლიოს რუკას – მაგრამ მხოლოდ ქაღალდზე, რადგან ამას რეალობაში საფუძველი არ აქვს. ჩვენზე აკეთებენ განცხადებებს, გამოთქვამენ მოსაზრებებს და მუქარას ავრცელებენ. თუ ისინი გვემუქრებიან, ჩვენც დავემუქრებით მათ. თუ ისინი იმოქმედებენ თავიანთ მუქარაზე, ჩვენ ვიმოქმედებთ ჩვენს მუქარაზე. თუ ისინი არღვევენ ჩვენი ერის უსაფრთხოებას, ჩვენ, უეჭველად, მსგავს პასუხს გავცემთ",- ამბობს ირანის ლიდერი.

ხამენეიმ ასევე აღნიშნა, რომ მოლაპარაკებები ასეთ მთავრობასთან არ უნდა იყოს, თუმცა, ვაშინგტონთან კონტაქტის აკრძალვაზე არ უსაუბრია.

## რეპლიკა

# ყველაფრის ფულზე გაყიდვა არ შეიძლება!



**საყოველთაოდ ცნობილია, რა საშინელება ხდება ღამის კლუბებში.** მათი მეპატრონეები – არაბები, პაკისტანელები, ირანელები, თურქები და სხვები ღამის 12 საათიდან გათენებამდე მუშაობენ. ისინი თავიანთ კლუბებში უშვებენ მხოლოდ ქართველ გოგონებს, იშვიათად – ქართველ ვაჟებსაც. იქ ყვავის აღვირახსნილი პროსტიტუცია, მამათმავლობა, ნარკომანია და ლოთობა. ეს უბედურება ცნობილია როგორც ადმინისტრაციული ორგანოებისთვის, ასევე დედაქალაქის ხელმძღვანელობისთვისაც, მაგრამ არავითარი რეაგირება ან უმკაცრესი ღონისძიებების გატარება არ ხდება ამ სიბინძურის ბუდეების ამოსაძირკვად, ვინაიდან ბიუჯეტში სოლიდური ფინანსები მიედინება, ისევე როგორც ჩვენი ახალგაზრდების დამღუპველი კაზინოებიდან.

სწორედ ამ კატეგორიის გონებადაბინდული ახალგაზრდობა იღებდა აქტიურ მონაწილეობას პარლამენტის შენობის დამაქცევარ აქციებსა და მიტინგებში, და კიდევ მშვენივრად მოპირკეთებული შენობა-ნაგებობების ფასადებზე მჯღაბნელები...

აი, ამ ყველაფრის დარეგულირება შეუძლია და ევალება კიდეც ჩვენს კეთილგონიერ, წარმატებულ ხელისუფლებას ამ ბოლო დროს მიღებული გამკაცრებული, მაგრამ სრულიად სამართლიანი, ობიექტური კანონებით და უახლოეს მომავალში მისაღები კანონპროექტებით.

**ომარ მარგველაშვილი,**
**საქართველოს საინჟინრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი, ნიკო ნიკოლაძისა და ნიკო ლორთქიფანიძის პრემიების ლაურეატი**

## ხსოვნა

საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ და უსამძიმრებენ ოჯახსა და მეგობრებს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრის, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის, საუკეთესო კალმოსნის, სიკეთით და უბრალოებით გამორჩეული მოქალაქის

### მურად ჭანტურიას



გარდაცვალების გამო.

უფალმა გაანათლოს მურად ჭანტურიას უკვდავი სული...

თენგიზ ქავთარაძე ოჯახით სამძიმარს უცხადებს თინა და მაია საყვარლიშვილებს მამის

### თამაზ გიგას ძე საყვარლიშვილის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

# ქურდებს ცუდი დღე დაუდგათ!

## პროკურატურამ ,,კანონიერი ქურდობის“, „ქურდული სამყაროს“ წევრობის, საქმიანობის მხარდაჭერის, „ქურდულ შეკრებაში“ მონაწილეობის, ,,კანონიერ ქურდზე“ მიმართვის ფაქტებზე 30 პირს ბრალდება წარუდგინა

**პროკურატურის** ინფორმაციით, შინაგან საქმეთა სამინისტროში ჩატარებული გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ საზღვარგარეთ მყოფ „კანონიერ ქურდებს“ შორის არსებული დაპირისპირების ნიადაგზე, მხარეებმა დაგეგმეს და მოაწყვეს ე.წ. ქურდული შეკრება, რომელზეც მათ მიერ მართულ პირებს დაპირისპირებულ მხარესთან ფიზიკური ანგარიშსწორება დაავალეს.

გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ ფინანსური დავის ,,ქურდული გარჩევის“ გზით გადაწყვეტის მიზნით მოდავე მხარეებმა ,,ქურდული სამყაროს“ წევრებს და ,,კანონიერ ქურდებს“ მიმართეს, რომლებმაც თურქეთის რესპუბლიკაში და შემდეგ საქართველოში ,,ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდამჭერების მეშვეობით არაერთი ,,ქურდული გარჩევა“ მოაწყვეს, რის შედეგადაც ერთ-ერთ მხარეს თანხის გადახდა მოსთხოვეს.

ასევე სამართალდამცველებმა მათ შორის ერთი პირი ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენის და შენახვის ფაქტზე დააკავეს.

ბრალდებულებს ბრალდება ,,კანონიერი ქურდობის“, ,,ქურდული სამყაროს“ წევრობის, ,,ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერის, ,,ქურდულ შეკრებაში“ მონაწილეობის, ,,ქურდული სამყაროს“ წევრზე და ,,კანონიერ ქურდზე“ მიმართვის და ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვის ფაქტებზე წარედგინათ, რაც სასჯელის სახედ და ზომად 15 წლამდე, თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლომ დაკავებულ 26 პირს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა უკვე შეუფარდა. ასევე პატიმრობა დაუსწრებლად შეეფარდა ოთხ პირს.

შინაგან საქმეთა სამინისტროში სისხლის სამართლის საქმეებზე გამოძიება გრძელდება.



# 20 000 მთვრალ მძღოლს მართვის უფლება შეუჩერდა!

**არაფხიზელ** მდგომარეობაში ავტოტრანსპორტი მართვის გამო მართვის მოწმობა 20 000 პირს შეუჩერდა, – ამის შესახებ „პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოების“ დირექტორმა ირაკლი იზორიამ მედიაჰოლდინგ „კვირაში“ განაცხადა.

მისი თქმით, გაზრდილია ნასვამ მდგომარეობაში საჭესთან ჯდომის განმეორებითი შემთხვევებიც, რის აღმოსაფხვრელადაც საჭიროა რეგულაციის გამკაცრება.

„2024 წლის სტატისტიკას რომ ჩავხედოთ, დაახლოებით 20 000-მდე ადამიანს შეუჩერდა მართვის უფლება არაფხიზელ მდგომარეობაში ავტომობილის მართვის გამო. იქიდან გამომდინარე, რომ იმატებს წლიდან წლამდე ნასვამ მდგომარეობაში მართვის მაჩვენებელი, სახელმწიფოც იძულებულია გარკვეულ ზომებს მიმართოს და გამოიყენოს მაქსიმალური ნაბიჯები, რათა შეფერხდეს მსგავსი შემთხვევების ზრდა.

გარდა ამისა, გახშირებულია მეორადი ჯდომა საჭესთან ნასვამ მდგომარეობაში. ერთი წლის განმავლობაში ჩამორთმეული რომ აქვს მოწმობა, ხდება ფაქტები, როცა კვლავ სხდებიან საჭესთან. ასეთ შემთხვევაში კანონმდებლობამ დაუშვა ადმინისტრაციული პატიმრობა 15 დღემდე. გვქონდა ინიციატივა, რომ პირველივე ჯერზე ნასვამ მდგომარეობაში ავტოტრანსპორტის მართვისას, მართვის მოწმობის შეჩერება 6 თვის ნაცვლად იყოს ერთი წელი, ხოლო როცა ფიქსირდება გადამთვრალი მდგომარეობა – 2 წელი.

**ირაკლი იზორია**



# მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გაიხსნა: დაკავებულია 41 წლის მამაკაცი

**შინაგან** საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, განზრახ მკვლელობის ბრალდებით, 1984 წელს დაბადებული გ.ქ. დააკავეს.

მათივე განცხადებით, დანაშაული 10-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა რომ, ბრალდებულმა საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე 1987 წელს დაბადებულ გ.ფ.-ს ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით გულმკერდის არეში სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად სამართალდამცველებმა ბრალდებული ცხელ კვალზე დააკავეს. განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

# მოსკოვი-სოხუმის მიმართულებით პირველი ფრენა შესრულდა

**დროებით** ოკუპირებულ სოხუმში პირველი სატესტო ფრენა შესრულდა. ე.წ. ვლადისლავ არძინბას სახელობის აეროპორტში რეისი მოსკოვიდან ავიაკომპანია **UVTaero**-მ შეასრულა.

„მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა. 30 წელზე მეტი ხნის შემდეგ, სოხუმის აეროპორტში ჩამოვიდა თვითმფრინავი, რომელსაც ამდენი ხანი ველოდით. ჩვენი ქვეყნისთვის ასეთი მნიშვნელოვანი, მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება დასასრულს უახლოვდება. დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთში ფრენების გეოგრაფია გაფართოვდება. ტურისტული სეზონის დასაწყისიდან ველოდებით რეგულარულ ფრენებს რუსეთის ქალაქებში“, – განაცხადა დე ფაქტო პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელმა ბადრა გუნბამ.

**UVTaero** რუსული ავიაკომპანიაა, რომელიც რეისებს რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე ასრულებს. ამასთან, ავიაკომპანიის ვებგვერდის თანახმად, ის უზბეკეთში – ტაშკენტსა და სამარყანდში დაფრინავს.






# „ბაკურიანი 2025“-ის საკოლექციო მონეტა

**ბაკურიანში ევროპის ზამთრის XVII ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის აღსანიშნავად გამოცემული ვერცხლის საკოლექციო მონეტის პრეზენტაცია გაიმართა. ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ავრცელებს.**

ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა **ნათია თურნავამ** საკოლექციო დანიშნულების ვერცხლის მონეტები გადასცა ევროპის ოლიმპიური კომიტეტების პრეზიდენტს **სპიროს კაპრალოსს**, ტრამპლინიდან ხტომაში ვეტერანი ოლიმპიელის კობა წაქაძის შვილს – **პახა წაქაძეს** და 2010 წელს ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე ტრაგიკულად გარდაცვლილი სპორტსმენის **ნოდარ ქუმარიტაშვილის** ოჯახს.

5 ლარის ნომინალის საკოლექციო დანიშნულების მონეტების გამოშვების გადაწყვეტილება სებ-ის საბჭომ ევროპის ზამთრის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი „ბაკურიანი 2025“-ის საორგანიზაციო კომიტეტთან თანამშრომლობით მიიღო.

ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდნენ ევროპის ოლიმპიური კომიტეტების პრეზიდენტი სპიროს კაპრალოსი, სეოკ-ის პრეზიდენტი **ლერი ხაბელოვი,** საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ნათია თურნავა და ევროპის ზამთრის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის „ბაკურიანი 2025“ - ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე **მამუკა ხაზარელი.**

საკოლექციო მიზნებისთვის მონეტების გამოშვების ექსკლუზიური უფლება საქართველოს ეროვნულ ბანკს აქვს და ქვეყნისთვის მნიშვნელოვან მოვლენებს ეძღვნება.

საქართველო ევროპის ზამთრის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალს - „ბაკურიანი 2025”-ს 9-16 თებერვალს უმასპინძლებს.

# ანა ჯაფარიძე ანტალიაშიც პირველია

**თურქეთში გამართულ ანტალიის ღია პირველობაზე პარატაეკვონდოში ქართველმა პარაათლეტებმა, პარიზის 2024 წლის პარალიმპიადის მედალოსანმა ანა ჯაფარიძემ ოქროს მედალი მოიპოვა. ტურნირზე კიდევ ორი პარატაეკვონდისტი – ლია ჩაჩიბაია და გიორგი ნიკოლაძე ბრინჯაოს პრიზიორები გახდნენ.**




საქართველოს პარატაეკვონდოს ნაკრების ასპარეზობა ტურნირზე საქართველოს სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით განხორციელდა.

# თურქეთში ზღვა უკან იხევს

**თურქეთში, სტამბოლში, ზღვამ სანაპიროდან დაახლოებით 150 მეტრით უკან დაიხია. ინფორმაციას თურქული მედია ავრცელებს და ფოტოებს აქვეყნებს.**



უჩვეულო მოვლენა მარმარილოს ზღვაში, ქალაქ სტამბოლის სილივრის რაიონში შეამჩნიეს!

მედიის ცნობით, ზღვამ წვიმის მიუხედავად დაიხია უკან და გარკვეულ ადგილებში პატარა კუნძულებიც გამოჩნდა, რაც მოსახლეობის შეშფოთებას იწვევს.

# ლადო გუდიაშვილის პარიზული ეპოქის შედევრები თბილისშია

**ამადეო მოდილიანის მეგობარი, ავანგარდისტი, რომლის შემოქმედებამ პარიზელი დამთვალიერებელი არაერთხელ აღაფრთოვანა, ფერმწერი, რომელმაც ძველი თბილისი საკუთარ ნახატებში გააცოცხლა, დაიწყო ქაშვეთის ტაძრის მოხატვა, რის გამოც სამხატვრო აკადემიიდან გაათავისუფლეს – ლადო გუდიაშვილის ტილოები თბილისს დაუბრუნდა.**

მისი სახელობის საგამოფენო სივრცეში, მხატვრის პარიზში ცხოვრების პერიოდში შესრულებული ნამუშევრებია გამოფენილი, რომელიც წლებია დამთვალიერებელს არ უნახავს. ლადო გუდიაშვილი, რომლის სახელი და გვარი არამხოლოდ ქართულ, არამედ მსოფლიოო ფერწერაში ოქროს ასოებით წერია, გარდა იმისა, რომ უდიდესი არტისტი იყო, თავისი შემოქმედებით სტიმული მისცა არაერთ მხატვარს, მათ შორის, საბჭოთა ცენზურის დროს.



ამისთვის ერთი მაგალითიც კმარა – როდესაც წითელი მოსკოვისგან დაბლოკილი მხატვრის გამოფენა ჩაკეტეს, ახალგაზრდა მხატვრების ინიციატივით, მოქალაქეებმა ძალით გააღეს დაკეტილი კარი და დარბაზებში შევიდნენ. გუდიაშვილის შემოქმედება მას მერე გახდა მაგალითი, რომ ჩაკეტილ, ტოტალიტარულ გარემოშიც შესაძლებელია დარჩე მხატვრად.

# თუმანიშვილის კინომსახიობთა თეატრი — 45





**საქართველოს კულტურის მინისტრი თინათინ რუხაძე კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით გამოცემული წიგნ-ალბომის „თუმანიშვილის კინომსახიობთა თეატრი – 45“ პრეზენტაციას დაესწრო. ინფორმაციას კულტურის სამინისტრო ავრცელებს.**

„ალბომის პრეზენტაცია კინომსახიობთა თეატრის საგამოფენო დარბაზში, ცნობილი ქართველი რეჟისორის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის, მიხეილ თუმანიშვილის დაბადების დღისადმი მიძღვნილ საღამოზე გაიმართა.

ორენოვანი წიგნ-ალბომი კინომსახიობთა თეატრის 45-წლიან ისტორიას ასახავს. პროექტის იდეის და კონცეფციის ავტორია თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, რეჟისორი იოანე (ვანო) ხუციშვილი.

კინომსახიობთა თეატრი 1975 წელს, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ბაზაზე დაარსდა. 1978 წელს ოფიციალურად გაიხსნა თეატრალური სახელოსნო – კინომსახიობთა თეატრი, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელი იყო მიხეილ თუმანიშვილი. 1996 წელს, მიხეილ თუმანიშვილის გარდაცვალების შემდეგ, კინომსახიობთა თეატრს ცნობილი რეჟისორისა და პედაგოგის ხსოვნისა და უდიდესი ღვაწლის პატივსაცემად მისი სახელი მიენიჭა“.

# მალხაზ ერქვანიძის საექსპედიციო ჩანაწერები გაციფრებულია

**ცნობილი ქართველი ეთნომუსიკოლოგი, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი მალხაზ ერქვანიძე უკვე 35 წელია, საქართველოსა და საზღვარგარეთ, ტრადიციული მუსიკის სფეროში, პრაქტიკულ და სამეცნიერო საქმიანობას ეწევა.**

1980-იანი წლების ბოლოდან, 2008 წლამდე მალხაზ ერქვანიძემ არაერთი საველე კვლევა განახორციელა – აჭარის, გურიის, სამეგრელოს, იმერეთის, ქართლის, კახეთის, ზემო და ქვემო სვანეთის სოფლებში. მის მიერ შეგროვილ, აუდიო და ვიდეოფირებზე აღბეჭდილ ამ მასალაში არაერთ უნიკალურ ნიმუშს ვხვდებით.

# კლასიკური მუსიკა მუცლად მყოფ ბავშვზე შესანიშნავად მოქმედებს!

**კლასიკურ მუსიკას შეუძლია დამამშვიდებელი გავლენა მოახდინოს ნაყოფის გულისცემაზე საშვილოსნოში და ასევე შეიძლება დაეხმაროს არ დაბადებული ბავშვის განვითარებას, წერს Interesting Engineering.**

მექსიკელ მკვლევართა ჯგუფმა გამოიკვლია, როგორ მოქმედებს კლასიკური მუსიკა ნაყოფის გულისცემაზე.

მეცნიერებმა შეისწავლეს გულისცემის ცვალებადობა (HRV), გაზომეს პაწაწინა ვარიაციები თითოეულ გულისცემას შორის. მათი თქმით, HRV-ის ეს მაჩვენებელი განსაკუთრებით ღირებულია, რადგან ის გვაწვდის ინფორმაციას ნაყოფის ავტონომიური ნერვული სისტემის განვითარებაზე.

ნაყოფის გულისცემის ცვალებადობის უფრო მაღალი ხარისხი ზოგადად განიხილება დადებით ნიშნად, რაც მიუთითებს ამ მნიშვნელოვანი სისტემის ჯანსაღ მომწიფებაზე.

კვლევაში მონაწილეობდა 36 ორსული ქალი. მკვლევრებმა მათ დაუკრეს ორი კლასიკური მუსიკა.

გულისცემის გარე მონიტორების გამოყენებით, მკვლევრებმა გაზომეს, თუ როგორ რეაგირებს ნაყოფის გულისცემა დამამშვიდებელ მუსიკაზე. ამ ანალიზმა მკვლევრებს საშუალება მისცა, დაენახათ ნაყოფის გულისცემის დახვეწილი ცვლილებები, რაც შეიძლება მიუთითებდეს იმაზე, თუ როგორ მოქმედებს მუსიკა ბავშვის განვითარებად ნერვულ სისტემაზე.

„დამამშვიდებელი მუსიკის დაკვრა, განსაკუთრებით კლასიკური მუსიკის, შეიძლება იყოს მარტივი, მაგრამ ძლიერი გზა ნაყოფის ჯანსაღი განვითარების ხელშეწყობისთვის“.

საქართველოს რესპუბლიკა
www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,**
**თემურ ქორიძე,**
**ოთარ ტურაბელიძე,**
**გია პლატონიშვილი,**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,**
**მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

დამკაბადონებლები
**გიორგი მახარაშვილი,**
**არჩილ სიხარულიძე.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი**

**მისამართი:**
თბილისი. აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 689431

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 12 თებერვალს**